საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 25 აგვისტო, 2015 წელი.

№158 (7803)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

„რეიტინგული“ უსამსოება

„რაღაც ძალიან დაღვა მედიის სამეფოში“

„გამარჯვებული ხალხის ტელევიზიიდან“ დამარცხებული კაცის ტელევიზიამდე

4

ნატოს სასწავლო ცენტრს რუსეთი ფსიქოლოგიურ ომად აღიქვამს

3

ლაშა ამირეჯიბი:

ვიწყებ იმ თემების ამოწევას, რაზეც ხელისუფლება დუმს

2

შური და უმადურობა სამშობლოს დაქცევის ხარჯზე!

5

სენსაცია

7



სიმსივნისგან განკურნებული 6000 პაციენტი:

გერმანელი ონკოლოგის რევოლუციური მიგნება...

ლექსი – იერიშზე!

იუზა ჩაკვეტაძე

გვიკვლევს რწმენის გზას ილია

I

ღამეს ვძლიე ოცნებებით,
მარტო ყოფნა ძნელია,
სამებაში მლოცველები,
ციდან ნიშანს ელიან.

ვერ აღიქვამს მონა ვარდებს,
მოსდებია ჭირხლი ველს,
რაში მთებში მონავარდე,
მხედარს ეძებს, ჭიხვინებს.

II

გვიანდება, თუ ხვალ ვიტყვი,
მამული გვაქვს საოცარი,
გამოისხა მუხამ კვირტი,
არ მოაკლო, ცაო, ცვარი.

ქართველები გასდევნიან,
ხშირად იცვლის ტყავს მცოცავი,
ვერ დავთვალე, რამდენია!
სამრეკლო და სალოცავი...

გულში იმედს ვატარებდი,
არ შეისვამს მონას რაში,
ოცნებების მატარებლით,
გავემგზავრე მომავალში.

ნუთუ ღამის სიზმარია!
ცხარე ცრემლი მოსდის ცოდვებს,
რომ გუგუნებს ღვთის ზარია,
ერთად ყოფნას მოგვიწოდებს...

ერს ვერ დაძლევს ღამის რული,
ქართვლის ცაზე გაბრწყინდა მზე,
ყვავილების თაიგული,
მაისს მიაქვს მთაწმინდაზე.

დედის წმინდა მანდილია,
ვაჟკაცების საფიცარი,
გვიკვლევს რწმენის გზას ილია,
ღვთისმშობელო, დაიცავი.

კვლავ ვიხილე სხივნათელი,
შურს ვერ დევნის ხარბი გული,
თავს არა ხრის მხნე ქართველი,
აელვარდა ხალიბური.

საქართველო ყოველთვის იქნება უკრაინის აქტიური მხარდამჭერი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და უკრაინელ ხალხს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრემიერი საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფოებს შორის მეგობრობასა და ურთიერთნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავების იმედს გამოთქვამს.

„მინდა, დაგიდასტუროთ მზადყოფნა, რომ საქართველო ყოველთვის იქნება უკრაინის აქტიური მხარდამჭერი. სწორედ საერთო ძალისხმევითა და ურთიერთთანადგომით შევძლებთ, დავძლიოთ სირთულეები და მტკიცე ნაბიჯებით განვაგრძოთ სვლა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე. მსურს, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა და გადმოგცეთ გულწრფელი მილოცვა უკრაინისთვის ამ უმნიშვნელოვანეს დღესასწაულთან დაკავშირებით“, — ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მილოცვაში, რომელიც უკრაინის პრემიერ-მინისტრ არსენი იაცენიუკს და პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს გაეგზავნათ. **უკრაინელ ხალხს დამოუკიდებლობის დღე საქართველოს პრეზიდენტმა და საგარეო საქმეთა მინისტრმაც მიულოცეს.**

უკრაინელი ჯარისკაცები საქართველოში მკურნალობენ

უკრაინის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, წეროვანის დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა რეაბილიტაციის ცენტრს საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი, საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი გეორგი ნაზარევი და უკრაინის სამხედრო ატაშე სერგეი კუნდიუსი ეწვივნენ.

მათ ის უკრაინელი ჯარისკაცები მოინახულეს, რომლებიც წეროვანში რეაბილიტაციას გადიან. სტუმრებმა ცენტრის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და იქ არსებულ პირობებს გაეცნენ.

თინათინ ხიდაშელმა უკრაინელ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და ქართულ სამკურნალო დაწესებულებაში უკრაინელი ჯარისკაცების რეაბილიტაციის საკითხზეც ისაუბრა.

წეროვანის დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა რეაბილიტაციის ცენტრში შვიდი უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე მკურნალობს. ისინი საქართველოში რეაბილიტაციის კურსს საქართველო-უკრაინას შორის 2015 წლის 28 აპრილს გაფორმებული მემორანდუმის თანახმად გადიან.

სარეაბილიტაციო კურსი 20 აგვისტოს დაიწყო და 3 სექტემბერს დასრულდება. უკრაინული მხარის სურვილის შემთხვევაში, საქართველოში სარეაბილიტაციო კურსს სხვა უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეებიც გაივლიან.

აფხაზეთის რკინიგზა რუსეთის მორიგი სახიფათო თამაშია

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე რკინიგზის აღდგენით სამუშაოებს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მორიგი სახიფათო მიზნების განხორციელების წინაპირობად აფასებს.

ამის შესახებ ნათქვამია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოჩამჩირიდან ენგურის ხიდამდე რკინიგზის მონაკვეთის აღსადგენად რუსეთის სარკინიგზო ჯარების 500 ჯარისკაცის და 50 ერთეული სამხედრო ტექნიკის შემოყვანას სამშვიდობო მისიით, თითქოსდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ვაფასებთ, როგორც რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალიან სახიფათო და შორსგამიზნული მორიგი მზაკვრული მიზნების განხორციელების წინაპირობას. ჩვენ უკვე ვიწინიეთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო მისიით შემოსული რუსეთის სამხედრო კონტინგენტის საქმიანობის შედეგები. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სარკინიგზო ჯარების მიერ რკინიგზის აღდგენა ენგურის ხიდამდე არის საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ კარგად აპრობირებული მცოცავი ანექსიის ახალი ეტაპის დაწყების კლასიკური მცდელობა“, — ნათქვამია განცხადებაში.

◎ ტაპერი ისე უკრავს, როგორც შეუძლია!

„ცოდვა გამხელილი სჯობსო“, ნათქვამია. ამიტომ ვიწყებ იმ თემების ამოწევას, რაზედაც ხელისუფლება დუმს, ჩვენ კი — ვპასიურობთ. მადლობა მინდა გადავუხადო დათო მაღრაძეს ამერიკელებთან ღია ლაპარაკის დაწყებისთვის. ძალიან დროული ნაბიჯია იმ თვალსაზრისით, რომ დავანახოთ მათივე გაკვეთილების ათვისების დონე: ქვეყანას უნდა მართავდეს საზოგადოება, მთავრობა კი — მის მიერ დაქირავებული მენეჯერია. დამოუკიდებელი აზრის ბატონობა გვხიბლავს დასავლეთელებში, თორემ „უფროსი ძმა“ გვყავდა და ამ ინსტიტუტის სიამტკბილობა კარგა ხანია, უარვყავით!

ვინყებ იმ თემების ამოწევას, რაზეც ხელისუფლება დუმს

პირველი და მთავარი კითხვა! რა ხდება ნაცებისა და მათი პარტნიორების მიერ წაგლეჯილი ქონების ირგვლივ? რატომ არ აბრუნებს (ან ვერ აბრუნებს) ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება ექსპროპრიირებულ ქონებას? ან რატომ არ (ან ვერ) ეძებს ალტერნატიულ გზებს? რატომ ერიდება ამ საკითხზე ლაპარაკს?! არ იფიქროთ, რომ ეკონომიკის ან რომელიმე სხვა მინისტრს არ უნდა წართმეულის დაბრუნება.

ისიც ზედმიწევნით კარგად იციან, რომ ეს მიზეზი, ანუ ქონების არ დაბრუნება, ცუდად შემოუტრიალდებათ. მაგრამ რა ქნან, იანკებს ასე სურთ!.. სანდო ცნობებზე აგებულ მოსაზრებებს შემოგთავაზებთ. 2008 წლის აგვისტოს სარდლობის მიერ სამარცხვინო კრახით დამთავრებული ომიდან სულ რამდენიმე დღეში საიდუმლო ხელშეკრულებით სააკამ გაასხვისა ენგურჰესი! თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ენგური თბილისში არშემოსვლის სანაცვლოდ დათმობინეს! ასევე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დასავლელი პარტნიორები (პატრონები) იყვნენ მოლაპარაკებაში ჩართულნი რუსებთან და მათი სურვილების თანხვედრ რჩევებს აძლევდნენ სააკას: „ან ენგური უნდა დათმო, ან თბილისში შემოვლენ რუსებიო!“ ამით, პირველ რიგში, ამერიკელებმა საკუთარი იმიჯის გადარჩენაზე იზრუნეს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ ის, რომ რუსები თბილიში შემოსულიყვნენ! ამერიკელების სისხლზე დამყნობილ „დემოკრატიას“, აყვავებულ „ლიბერტარიანობას“, უზარმაზარ სამხედრო ქონებას — პამპერსებით და წყლით დატვირთული ხომალდი გადაარჩენდა? ქართველ ერზე ზრუნვა მსოფლიო პოლიტკური ოჯახის თვალსაწიერში ნულის მიღმა მაჩვენებელს გაუტოლდებოდა. უსახო იანკებმა თავი გადაირჩინეს ქართველი ერის ხარჯზე. დავწერე და ვეკითხები ჩემს თავს: რა უნდა ექნა უფროს „იანკი-ძმას“, თუ მათ მიერ კბილებამდე შეიარაღებული და გაწრვრთნილი ჯარის მთავარსარდალი მცოცავ არსებად გადაიქცა! ნაპოლეონის თქმისა არ იყოს: ცხვრის ფარა, თუ მას სათავეში ლომი უდგას, ბევრად სჯობია ცხვრის მიერ მართულ ლომების პრაიდს!!! გიხსენეთ, რას აკეთებდა ან გააკეთებინეს დამცირებულ ერს, რა ზარ-ზეიმი მოაწყობინეს სააკას და რამდენი ძალით ჩამოყვანილი სტუმარი ეწვია წაგებულ ქვეყანას გაიხსენეთ ბუშის ჩამოსვლა და ორთაჭალის ზეიმი, გადაჭედილი თავისუფლების მოედანი და თანამგზავრიდან აღმოჩენილი ტერორისტი არუთინოვი. ბუშის სავარაუდო მკვლელმა ბევრი კითხვები გადაფარა, ეს აქტი საჭირო იყო!.. ეს პოლიტ-ფანდიც ე.წ. პატრონებთან იყო შეთანხმებული!!! რუსებთან შეჩვეული პოზა ახალ „უფროს ძმასთან“ დავიჭირეთ, დავიხარეთ და დავრჩით ეგრე! სააკამ თავს კი უშველა, ჩვენ ვიფიქროთ, ამათ ხელში დღემდე ცოცხები რომ ვერ გამოგვიღია უკანალებიდან!!!

პროკურორი ბადაშვილი ავიღოთ. განა მას არ უნდა იმ ათასობით საჩივრის განხილვა და დაზარალებულების დაკმაყოფილება? მაშ დავალებებს რა უყოს?! რომამდე კი არა, ვაშინგტონამდე მივა გზა, თუ ობიექტური გამოძიება დაიწყო. ჯერ ერთი, ჩვენი არშემდგარი სპეცსამსაურების და პროკურატურის თანამშრომელთა 80-85% უნდა დაიჭირო, ბოლოს კი ისარი სააკას გავლით დასავლეთში ამოყოფს თავს. აი, სწორედ ამის ეშინიათ პარტნიორებს! ამიტომ ყველანაირად ცდილობენ, ნაკელივით ატივტივონ ნაცები, 2%-იანი რესპები და სხვა ე.წ. „დასავლეთელები“ ქართული პოლიტიკის ზედაპირზე. სააკა, რომ ჩამშვებია — გადასარევად იციან! მიშიკომ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ 26 მაისის დარბევას ამერიკულმა სპეცსამსახურებმა შსს-ს შენობაში ლაიფში უყურეს და დადებითად შეაფასეს პოლიციის მოქმედება... უბედურება ისაა, რომ მიშას მეგობრები ჩვენი „ახალბედა“ ხელისუფლების მეგობრები გახდნენ.

მართალია იმ დოზით ვერ მართავენ, მაგრამ გადამწყვეტი ხმა ყოველთვის მათ მხარეს რჩება. ამერიკელებს პრაგმატულობა დედის რძესავით აქვთ შერგებული, ფულს არასდროს მოგცემენ, თუ უკან ათჯერ მეტს არ წაიღებენ! ეს არის რეალობა და ამას თვალი უნდა გავუსწოროთ. ამავე დროს, ჩვენ ჩვენი რეალობა ზუსტად ამ პრაგმატული მიდგომით უნდა ვმართოდ. ამისათვის დღეს საზოგადოება, დარწმუნებული ვარ, მზად არის. რაც გვასწავლეს — გამოვიყენოთ! ჩვენც გვეშველება და მათთაც საქმეს შევუმსუბუქებთ.

ხომ არ დავიწყოთ! დახურული პრობლემები საჯაროდ განვიხილოთ და მათ გადასაწყვეტად გეგმები დავსახოთ. ჭკვიანები და პროფესიონალები არ გვაკლია. თუ ამას ერთად და ხმამაღლა გავაკეთებთ, მთავრობას პოლიტიკურ ტვირთს მოვაშორებთ. გასულ საუკუნეში ამერიკის ე.წ. „ველურ დასავლეთში“ (გიხსენეთ „შესანიშნავი შვიდეული“) კინოს ყურებისას შეიარაღებული „ძველი ამერიკელი ბიჭები“ ხშირად ესროდნენ მუნჯი ფილმის თანხლები მუსიკის შემსრულებელს — ტაპერს. იმ დროიდან შერჩათ ბრწყინვალე გამონათქვამი: „ნუ ესვრით ტაპერს , ის ისე უკრავს, როგორც შეუძლია!!!“ მოვიქცეთ ამერიკულად, ზედმეტად არ ვესროლოთ მთავრობას. რაც შეუძლია, იმაზე მეტს ვერ გააკეთებს!!!

ლაშა ამირეჯიბი

◎ ინფორმაცია

დიდი მაესტრო იუბილარია

ბერლინის ისტორიულ დარბაზში „კონცერტჰაუზში“ ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის კონცერტი გაიმართა. ღონისძიება „იანგ ეურო კლასიკ“ ფესტივალის ოფიციალური პროგრამის ფარგლებში ჩატარდა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი მაესტროს საიუბილეო თარიღს მთელი წლის განმავლობაში კონცერტების სერიას მიუძღვნის.

ბერლინის ცნობილ დარბაზში „კონცერტჰაუზში„„ გია ყანჩელის ნაწარმოებებთან ერთად არვო პიარტის მუსიკამაც გაიჟღერა. სოლისტები: დუდანა მაზმანიშვილი, ანდრეს მუსტონენი, გიორგი ცაგარელი. დირიჟორი და მუსიკალური ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაჭველი.

თამარ გვერდწითელმა ბათუმში იმღერა

ბათუმში თამარ გვერდწითელის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „მუსიკა საზღვრებს გარეშე„ გაიმართა. პიაცაზე შეკრებილ მსმენელს მომღერალმა, მეგობრებთან ერთად, ევროპული რეპერტუარი წარუდგენა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს: ტენორმა ალესანდრო საფინამ, იტალიელმა აკორდეონისტმა მარიო სტეფანო პიეტროდარჩიმ, ანსამბლმა „შვიდკაცამ„, ნოდიკო ტატიშვილმა, გიორგი სუხიტაშვილმა და ასევე, კონცერტს აკომპანიმენტს უწევდა სიმფონიური ორკესტრი და ბენდი.

როგორც თამარ გვერდწითელმა ჟურნალისტებს განუცხადა, წვიმის მიუხედავად ერთგული მაყურებელი კონცერტს ბოლომდე დაესწრო:

პირველი კონცერტი მომღერალმა ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამართა და მსმენელს სხვადასხვა დროის ცნობილი ქართული ჰიტები შესთავაზა.

ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲝᲛᲐᲓ ᲐᲚᲘᲥᲕᲐᲛᲡ

27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ კრწანისის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის ინაუგურაცია გაიმართება. სასწავლო ცენტრის გახსნას ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი დაესწრება. გენერალური მდივანი შეხვდება საქართველოს შეიარაღებული ძალების ასეულს, რომელიც ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებისთვის გადამზადდა.

ოფიციალური შეხვედრების ფარგლებში განიხილება საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებულ საკითხთა სრული სპექტრი და ამ მიმართულებით დაგეგმილი შემდგომი ნაბიჯები, უელსის სამიტზე მიღებული არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის მიმდინარეობა და ვარშავის 2016 წლის ნატოს სამიტისთვის მზადების პროცესი.

საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, რომლის განცხადებით, ეს არ იქნება საწვრთნელი ბაზა, რასთან დაკავშირებითაც სპეკულაციები მიმდინარეობს. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ეს იქნება სასწავლო ცენტრი ქართველი ჯარისკაცებისთვის, რაც სამხედროების მომზადების დონეს აამაღლებს.

კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი ამბობს, რომ ნატო არ უყურებს და არ აღიქვამს ნატო-საქართველოს ერთობლივ საწვრთნელ ცენტრს ანტირუსულ ცენტრად, რუსეთის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად, ჟესტად ან რუსეთში გასაგზავნ სიგნალად.

„ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას პრაქტიკულ ელემენტებზე. ანუ, რას გააკეთებს ცენტრი იმისთვის, რომ გაიზარდოს ნატოსთან თავსებადობა. საქართველომაც გაუზიაროს გამოცდილება პარტნიორებს და ყველაზე მთავარი, რაც წერია არსებით პაკეტში - თითოეულმა ამ ნაბიჯმა საქართველო მომავალი წევრობისთვის უნდა მოამზადოს. ცენტრს აქვს ძალიან მკაფიო სარგებელი. რა თქმა უნდა, ეს არის სიგნალი ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობის და პარტნიორობის. საქართველომ დაიმსახურა და გააკეთა ყველაფერი პარტნიორობისთვის, ავღანეთში და სხვაგანაც ნატოსთან გვერდში დგომით, ასევე გატარებული რეფორმებით“, — აცხადებს აპატურაი.

მისივე თქმით, არავინ, მათ შორის რუსეთმა, არ უნდა აღიქვას და შეაფასოს ცენტრი, როგორც საფრთხე, რადგან ცენტრის მიზანია თავსებადობის ამაღლება.

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ამბობს, რომ არ ესმის, რატომ არის საფრთხედ აღქმული საქართველოსა და ნატოს ერთობლივი ნაბიჯები რუსი სამხედრო თუ პოლიტიკური ექსპერტების მიერ.

„ნატოს ლიმიტირებული პერსონალი, რომლებიც საქართველოში იქნებიან წარმოდგენილი, იმუშავებენ თავსებადობის გაზრდაზე. ვფიქრობ, რუსეთს არ მოსწონს პოლიტიკური სიგნალი, არ მოსწონთ, რომ საქართველო ერთგულია და გააგრძელებს სვლას დასავლეთისკენ.

არ არიან კმაყოფილი იმით, რომ ნატო, ისევე როგორც ევროკავშირი, მიესალმება საქართველოს მიერ არჩეულ გზას, მხარს უჭერს და ეხმარება იმ არჩევანში, რომელსაც სუვერენული სახელმწიფო იღებს“, — განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

შეგახსენებთ, რომ ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრის ჩამოყალიბება უელსში ნატოს სამიტზე გადაწყდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ვახტანგ კაპანაძის ინფორმაციით,საქართველოში ნატოს საწვრთნელ ცენტრს მხოლოდ ერთი ლოკაცია არ ექნება და მის შემადგენლობაში შევა როგორც კრწანისის ეროვნული ცენტრი, ასევე ვაზიანის ტაქტიკური ველი და სასროლეთი.

ექსპერტების შეფასებით ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრის გახსნა თბილისში არა მხოლოდ დამატებითი უსაფრთხოების გარანტიებია ქვეყნისთვის, არამედ ეს არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება და ის მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარების კუთხითაც. რადგან, ეს არის ნატოს პირველი ცენტრი, რომელიც მისი ტერიტორიის გარეთ არის განთავსებული, რომელსაც სამხედრო ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა.

ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში თორნიკე შარაშენიძე აცხადებს, რომ საწვრთნელი ბაზის მშენებლობა რუსეთს დისკომფორტს შეუქმნის, თუმცა, ის საქართველოს უსაფრთხოების თვასლაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია.

„ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, რომ ბაზის გახსნა საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ ისედაც გვიდგას რუსი ოკუპანტი; რაც უფრო სუსტები ვიქნებით და დაშლილები, შორს ვიქნებით და იზოლირებულები, მით უფრო იოლი იქნება მათთვის, შემოვიდნენ თბილისში. რაც უფრო მეტი გარანტია გვექნება მხარდაჭერის, მით უფრო მეტი დისკომფორტი ექნებათ მათ და უფრო მეტად დაფიქრდებიან, რომ აგრესია არ განახორციელონ“, — აცხადებს თორნიკე შარაშენიძე.

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი აცხადებს, რომ ზედაპირზე დევს საფრთხეები, რომელიც უკავშირდება მხოლოდ რუსეთს. მისივე თქმით, უნდა გვქონდეს მკაფიო წარმოდგენა, რას შევძლებთ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვიქნებით მისაღები პარტნიორი ნატოსთვის და გავაანალიზებთ იმასაც, თუ რა ტიპის პერესპექტივას შეიძლება წააწყდეს ქვეყანა, თუ დედამიწის პრივატიზაციის პროცესში გაიმარჯვებს პუტინი.

„რასაკვირველია, მგლის შიშით ტყეში არ შესვლა, სიკეთეს ვერ მოუტანს როგორც მონადირეებს, ასევე ვერც რიგით მოქალაქეებს, რომლებიც სრულიად მკაფიოდ ამჟღავნებენ საკუთარ სურვილს, რომ გახდნენ ცივილიზებული, ევროპული სივრცის ნაწილი.

რასაკვირელია, არაერთი სცენარი ექნება შემუშავებული ამხანაგ პუტინს საპასუხო ნაბიჯის გადასადგმელად. მის არჩევანს განაპირობებს ინფორმაცია, რომელსაც როგორც ოფიციალურად, ასევე საკუთარი ჯაშუშების საშუალებით მიიღებს და ამის მიხედვით იქნება შემდეგი ნაბიჯი გადადგმული. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას“, — აღნიშნა სოსო ცისკარიშვილმა.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტის ვახტანგ მაისაიას განცხადებით, ნატო-საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი ნატოს ხელშეწყობით იარსებებს, სადაც ნატოელი და ქართველი ინსტრუქტორები ერთად მოამზადებენ შესაბამისი სპეციალობის მეომრებს, ოფიცრებსა და სერჟანტებს, რომლებიც ნატოს ეგიდით წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში მიიღებენ მონაწილეობას.

„რუსები თვლიან, რომ ეს იქნება ფსიქოლოგიური ომის წარმოებისთვის განკუთვნილი ცენტრი. ბუნებრივია, რომ ბალტიის სახელმწიფოები და საქართველო ფრონტის ხაზია დასავლეთსა და რუსეთს შორის. 20 აგვისტოს პენტაგონში გამართულ პრესკონფერენციაზე თავდაცვის მდივანმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთი ისეთივე ეროვნული უსაფრთხოების ტიპის საფრთხეა, როგორც არის „ისლამური ხალიფატი“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

◎ ᲐᲛᲔᲠ-ᲘᲛᲔᲠᲨᲘ

ᲡᲔᲛᲔᲙ-ᲛᲐ „ᲗᲔᲚᲐᲡᲘᲡ“ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲤᲐᲡᲐᲓ 11,173 ᲗᲔᲗᲠᲘ ᲒᲐᲜᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ სემეკში „თელასის“ სამომხმარებლო ტარიფში შემავალი ორი კომპონენტის განხილვა ხმაურის ფონზე მიმდინარეობს და საჯარო განხილვას ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ენერგოომბუდსმენი და არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრები, კერძოდ, „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია და მემარცხენე ალიანსის წარმომადგენელი კახა ძაგანია ესწრებიან.

საჯარო განხილვაზე „ქართული დასის„ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ სემეკის წევრებს სთხოვა იმ საკითხს დაბრუნებოდნენ, რომელიც წინა განხილვაზე წარმოიშვა. ბაღათურია ისევ დაინტერესდა, თუ სად წავიდა 800 მილიონის დავალიანება, რომელიც მოსახლეობას გააჩნდა „თელასის“ მიმართ და რომელიც კომპანიამ ხალხისგან „სისხლის, ცრემლისა და ოფლის ფასად ამოიღო“.

სემეკის თავმჯდომარემ ირინა მილორავამ აღნიშნულის საპასუხოდ განაცხადა, რომ სემეკმა წარმოადგინა 1999 წლის აუდიტორული დასკვნა, სადაც 800 მილიონი, ან მასთან მიახლოებული ციფრი არ ფიქსირდება.

რაც შეეხება დღევანდელ საჯარო განხილვას, მასზე სამომხმარებლო ტარიფში შემავალ ორ კომპონენტს - საოპერაციო დანახარჯებსა და ელექტროენერგიის შესყიდვის კომპონენტს განიხილავენ.

განხილვაზე სემეკმა წარმოადგინა პრეზენტაცია, რომლის თანახმადაც 2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით, კომპანია „თელასს„ სავარაუდო შესყიდვის ფასი განუსაზღვრა 11,173 თეთრი კვტ.სთ-ზე. ამ დრომდე შესყიდვის საშუალო შეწონილი ფასი არის 5,480 თეთრი კვტ-სთ-ზე.

ამის შემდეგ სიტყვა ითხოვა ჯონდი ბაღათურიამ. მისი თქმით, „თელასი“ 6 თეთრით ითხოვს ტარიფის გაძვირებას.

„რომ ვამბობდი, 6 თეთრით ითხოვენ გაზრდასო, ხომ ვყოფილვარ მართალი“, — აღნიშნა ბაღათურიამ.

გარდა ამისა, „ქართული დასის“ ლიდერი დაინტერესდა იმით, თუ რა მოცულობის სოციალურ გაზს იღებს საქართველო აზერბაიჯანისგან იმის სანაცვლოდ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის ენერგომატარებლებს ვატარებთ.

მისი თქმით, ეს სოციალური გაზი უნდა აისახოს თბოელექტროსადგურების ტარიფებში, რაზეც სემეკის თავმჯდომარემ ირინა მილორავამ განუცხადა, რომ თბოელექტროსადგურების ტარიფები კომისიამ რამდენიმე კვირის წინ უკვე დაადგინა და ბაღათურიას მოუწოდა, რომ თუ არ არის კმაყოფილი ამ ტარიფებით, ეს სასამართლოში გაასაჩივროს.

ჯონდი ბაღათურიამ აღნიშნა, რომ ტარიფის ზრდით, უმაღლესი თანამდებობის პირები არიან დაინტერესებულები, ამიტომ მათ გაასაიდუმლოეს იმ სოციალური გაზის მოცულობა, რომელსაც საქართველო იღებს უფასოდ.

მისი თქმით, იმისთვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა სამართლიანი ტარიფი, მასში უნდა მოხდეს სწორედ ამ სოციალური გაზის ასახვაც.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ „ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲖᲔ“

„ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ კაშხალზე“ ქართველი და აფხაზი ენერგეტიკოსების მორიგი შეხვედრა გაიმართა. როგორც აფხაზური მედია „ჩერნომორენერგოს“ პრესსამსახურზე დაყრდნობით იუწყება, შეხვედრაზე ტექნიკური თანამშრომლობის დეტალები განიხილეს. კერძოდ, ის, რომ ძლიერი სიცხეების გამო, დასავლეთ საქართველოში „ენგურჰესის“ თაღოვან კაშხალზე წყლის დონემ 17 მეტრამდე დაიკლო. ბოლოს ასეთი ვარდნა რამდენიმე ათეული წლის წინათ დაფიქსირდა. გარდა ამისა, გაიზარდა დატვირთვა ელექტრომომარაგების ქსელზე ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს. ამასთან დაკავშირებით, შეხვედრაზე შემოდგომა-ზამთრისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ იმსჯელეს. აფხაზურ მხარეს „ჩერნომორენერგოს“ გენერალური დირექტორი ასლან ბასარია, დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატი ახრა ბჟანია და მათი თანხმლები პირები, ქართულ მხარეს კი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეები — ილია ელოშვილი და ირაკლი ხმალაძე წარმოადგენდნენ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲣᲠᲔᲙᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ მერიის ორგანიზებით, დაბა ურეკში ახალგაზრდული ბანაკი მოეწყო. ქუთაისში მცხოვრები ასამდე ახალგაზრდას საშუალება მიეცა ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით ერთი კვირის მანძილზე დაისვენონ.

ქუთაისელ მოზარდებთან ერთად ბანაკში სტუმრად იმყოფებიან უკრაინელი ახალგაზრდები.

უკრაინელი ახალგაზრდები საქართველოში იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის მოწვევით ჩამოვიდნენ, ხოლო მათი ტრანსპორტირებისა და დასვენების ხარჯები ქუთაისის მერიამ გაიღო. ბანაკში ბავშვებმა უკრაინის დამოუკიდებლობის დღეც აღნიშნეს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

„გამარჯვებული ხალხის ტელევიზიიდან“ დამარცხებული კაცის ტელევიზიამდე

ციკლიდან: „რაღაც ძალიან დალპა მედიის სამეფოში“

ვამბობთ: „ლენინი“ – პარტია გვაქვს წარმოდგენილი,
ვამბობთ: „პარტია“და ვგულისხმობთ ვლადიმერ ლენინს...
(საბჭოთა პოეზიიდან)

„რუსთავი-2“-ისა და ნაცმოს საქმეც ზუსტად ასეა.

და მაინც დავსვათ კითხვა:

ნამდვილად არის თუ არა „რუსთავი - 2“ მაღალპროფესიული არხი?

დღეს ზოგიერთი ჭკუის საკითხავი პიროვნებისგანაც კი მოვისმენთ ასეთ ფრაზას: „ოდიოზური არხია, მაგრამ რასაც აკეთებენ, მაღალ დონეზე აკეთებენ. ნამდვილი პროფესიონალები არიან.“

რობერტ სტურუას უკვდავი „ცარცის წრე“ გაგახსენდება: „მე რასაც ვაკეთებ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებ!“

სწორედაც რომ აკეთებენ.

ადრე ნათქვამს კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ზედგამოჭრილი იყო მათი სლოგანი – **„ახალი ამბები კეთდება აქ.“**

კეთდებოდა და კვლავაც კეთდება.

გვარამიას ეყო **ჭკუა,** თვითლუსტრაციის მაუწყებელი ეს სლოგანი რომ მოეხსნა, მაგრამ არ ეყო **სინდისი,** ახალი ამბების კეთება რომ არ გაეგრძელებინა.

პროფესიონალიზმი კი, უწინარესად, სინდისის პრიმატს გულისხმობს.

თუმცა, ასე მკაცრადაც ნუ მივუდგებით, სინდისი ხომ დღეს საერთოდ სანთლით საძებარია, პროფესიული სტანდარტები მოვიკითხოთ.

თეორეტიკოსები პროფესიული ჟურნალისტიკის ხუთ ძირითად ნიშანს გამოყოფენ:

ფაქტობრიობა (უპირატესობა მიანიჭო ფაქტებს და არა საკუთარ შეხედულებებს);

პატიოსნება (არ ცდილობდე ფაქტების არასწორი კუთხით წარმოჩენას);

მიუმხრობლობა (გააკონტროლო საკუთარი ინტერესები. არ დაუშვა მიკერძოებულობა ახალი ამბების გაშუქებისას);

ყოვლისმომცველობა (დაიცვა ბალანსი, ანუ ერთი თვალსაზრისის წარმოჩენისას, არ დაივიწყო საწინააღმდეგო, განსხვავებული თუ დამატებითი შეხედულებების გაშუქება);

თანამიმდევრულობა (მუდამ იცავდე პროფესიული ჟურნალისტიკის სტანდარტებს, ანუ წინა ოთხ მოთხოვნას).

ამათგან რომელ მოთხოვნას აკმაყოფილებს **გაბუნიას** „არჩევანი“, ან **კვესიტაძის** „აქცენტები?“

თუნდაც „კურიერი“ ავიღოთ.

22 აგვისტო. 13 ივნისის ტრაგედიით დაზარალებულ სვანიძის ქუჩის მცხოვრებლებს დედაქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ და მათი პრობლემების მოგვარების კონკრეტული სქემა გააცნეს. შეთავაზებული წინადადებები მოსახლეობისათვის სავსებით მისაღები აღმოჩნდა. ცხრასაათიანმა „კურიერმა“კი ქოთანს მაინც მისთვის სასურველ მხარეს გამოაბა ყური: სიუჟეტი ისე ააგო, რომ ხალხის კმაყოფილება ჟურნალისტის ტენდენციურმა ტექსტმა და ნაცების წარმომადგენლის ნეგატიურმა კომენტარმა გადაფარა.

იმავე დღეს ასევე არასწორად, ტენდენციურად გაშუქდა გრაკლიანის გორაზე აღმოჩენილ უნიკალურ წარწერასთან დაკავშირებული ამბები.

მსგავსი მაგალითი უამრავია.

აი, ეს არის ახალი ამბების ოსტატურად კეთება, ზოგიერთ ჭკუის საკითხავ პიროვნებასაც რომ „აღაფრთოვანებს“, მაგრამ ეს ის ოსტატობაა, ჭეშმარიტ პროფესიონალიზმთან რომ არაფერი აქვს საერთო.

„კურიერი“ კარგა ხანია, დაემსგავსა საბჭოთა პერიოდის „ვრემიას“ (**უდუმაშვილი** და **ჯოჯუა,** პათოსითა და მანერით, იგორ კირილოვსა და ნონა ბოდროვას არ გაგონებენ?!) – თუ გინდა, სიმართლე გაიგო, უნდა უყურო და რასაც ნახავ და მოისმენ, უკუღმა უნდა შეატრიალო(„პირიქით, ასინეთა, პირიქით“)...

ეს – ახალი ამბები და პოლიტიკა.

ახლა გასართობი გადაცემები ვნახოთ.

განა შეიძლება, პროფესიონალიზმის არსებობაზე ვისაუბროთ მაშინ, როცა განვიხილავთ „პროფილს“, „კომედიშოუს“, „გააცინე და მოიგეს“, ახლახან კიდევ უფრო მდარე „ქალთა სახეები“ რომ მიემატა?!

ახალი ამბები – ტენდენციურად, მიკერძოებულად გაშუქებული (გაკეთებული!);

გასართობი გადაცემები - მდარე და ხშირად უხამსიც...

და მაინც გვეტყვიან, რეიტინგულიაო(?!).

საგანგაშოც სწორედ ეს არის!

კრიტიკოსმა **თემურ ქორიძემ** ამას წინათ კარგად განმარტა ამგვარი „მაღალრეიტინგულობის“ არსი: **რომ ავდგეთ ახლა და ქუჩაში დედიშობილა სიარული დავიწყოთ, იცით, ჩვენი ცქერით რამდენი ხალხი დაინტერესდება?!**

* * *

დღეს ამ არხს ხან **„ცრუსთავს“** უწოდებენ და ხან კიდევ **„ყრუსთავს“**...

არადა, ერთ დროს „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ ერქვა.

გვარამიამ კი ის დამარცხებული კაცის ტელევიზიად აქცია.

„რუსთავი-2“-ის მიმართ აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ პარტიულ ტელევიზიად მაინც არასოდეს აღიქმებოდა.

დღეს კი ნაციონალური მოძრაობის ფილიალსაც კი უწოდებენ.

გაბუნიამ ორჯერ ჩააკითხა უკრაინაში თავშეფარებულ სააკაშვილს და ძებნილ ექსპრეზიდენტთან ვრცელი ინტერვიუ შემოგვთავაზა. მარტო ეს ფაქტიც კმარა იმისთვის, რომ ეპიგრაფად გამოტანილი ოდიოზური ლექსის სტრიქონები ასე გარდავთქვათ:

ვამბობთ „რუსთავორს“ – ნაცმოძი გვყავს წარმოდგენილი, ვამბობთ: „ნაცმოძი“ და ვგულისხმობთ იმავ „რუსთავორს“...

* * *

დღეს „რუსთავორს“ ბევრი დამცველი გამოუჩნდა, მათ შორის ისეთებიც, სულ ახლო წარსულში დაუნდობელი სარკაზმით რომ მოიხსენიებდნენ (მაგალითად: ირინა სარიშვილი, შალვა ნათელაშვილი). მათ შემხედვარეს ძველი აღმოსავლური სიბრძნე გაგახსენდება, ამგვარი პერიფრაზით: „მითხარი, ვინ გიცავს და გეტყვი, ვინა ხარ.“

ფარისევლებს რა გამოლევს, მაგრამ „რუსთავორს“ დაცვა ნამდვილად სჭირდება, ოღონდ იმათგან, ერთ დროს „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ უღმერთოდ(რა ზუსტია, არადა წამომცდა!) დააკნინეს და დამარცხებული კაცის ჯიბის ტელევიზიად აქციეს – **გვარამია, გაბუნია, კვესიტაძე, ჟორჟოლიანი...**რაც შეეხება **ასათიანს**, იმას თავისი გაჭირვებაც ეყოფა და თანაც ერთი ალიბი აქვს – ჯალათის თანამეცხედრე არასოდეს ყოფილა.

და კიდევ: „რუსთავი-2“ ხელისუფლებას(„ქართულ ოცნებას“) ყველა დაპირებას გამუდმებით ახსენებს... სამართლიანობის აღდგენის გარდა. ამ დაპირების შესრულება ხელს არ აძლევს(?!).

ხელს არ აძლევთ არხის დღევანდელ ხელმძღვანელებსა და ზემოთ ჩამოთვლილ „სახეებს“, თორემ იქ მომუშავე ღირსეული ადამიანები ამით რას დაკარგავენ?! – საკითხავი აი, ეს არის!..

იოსებ ჯუმბურიძე.

P. S. არხის „სახეებმა“ ბოლო დროს გულზე „დიადი გემა“ დაიბნიეს, რითაც თითოეული მათგანი გვეუბნება, „რ2“ ჩემიაო(?!). თითქოს არ ესმოდეთ, რომ ამით ერთ-ერთ უზენაეს უფლებას არღვევენ – კერძო საკუთრების უფლებას. ესმით, უეჭველად ესმით, ისინი ხომ ნამდვილი პროფესიონალები არიან (თუ ზოგიერთ ჭკუის საკითხავ პიროვნებას დავუჯერებთ). ესმით და არღვევენ. გაუდით და ტირიან. სატირალიც სწორედ ეს არის – ზოგიერთს რომ სასაცილო ჰგონია...

ი. ჯ.

◎ ალიან-ჩალიანი

ბერლინერის აზრები, თურმე, აშშ-ის ხელისუფლების პოზიცია ყოფილა

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლას ბერლინერი მისი მისამართით გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებს პასუხობს. როგორც ნიკოლას ბერლინერმა „რუსთავი-2“-ს განუცხადა, მის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადება ამერიკის მთავრობისა და საელჩოს პოზიციაა.

„განცხადება, რომელიც გასულ კვირას ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით გავაკეთე, ვფიქრობ მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო. კარგად არის ცნობილი შეერთებული შტატების პოზიცია მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ჩვენ უბრალოდ მოვუწოდეთ სიფრთხილისკენ და იმედი გამოვთქვით, რომ ნებისმიერი სამართლებრივი პროცესი უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად წარიმართება. ჩემს მიერ გაკეთებული განცხადება შეგიძლიათ მიიღოთ, როგორც შეერთებული შტატების ხელისუფლებისა და საელჩოს პოზიცია“, – განაცხადა ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა.

მინისტრი მეთევზეთა პრობლემებით დაინტერესდა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი სამეგრელოს რეგიონს სტუმრობდა, სადაც ფოთის მერთან ირაკლი კაკულიასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ფოთელ მეთევზეებს შეხვდა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე თევზჭერის სფეროში არსებული პრობლემები და თევზის რესურსის მდგრადი მოპოვების საკითხები განიხილეს. გიგლა აგულაშვილის გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში რეგიონში დამატებით ექსპერტთა ჯგუფი ჩავა, რომელიც ადგილობრივ მეთევზეებს თევზჭერის პრობლემებთან დაკავშირებით კონსულტაციებს გაუწევს.

როგორ ცხოვრობენ აფხაზეთიდან დევნილები სამეგრელოში

სამი დღის განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ბასარია სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში ჩასახლებულ დევნილებს შეხვდნენ. მათ დევნილების პრობლემები მოისმინეს და აფხაზეთის მთავრობის ეგიდით მიმდინარე პროექტები დაათვალიერეს.

ვახტანგ ყოლბაიამ დაათვალიერა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხსა და რიყეში არსებული სიმინდის ნათესები, ასევე ხურჩაში მშენებარე სასათბურე კონსტრუქციები, სადაც დევნილები არიან დასაქმებული. მიწის ნაკვეთები, სადაც სიმინდის კულტურაა დათესილი, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ აფხაზეთის მთავრობას განკარგვის უფლებით გადასცა. მიწაზე დევნილებმა სიმინდი შარშანაც მოიწიეს.

ვახტანგ ყოლბაიას განცხადებით, მომავალი წლისთვის, ნათესების ფართობი კიდევ უფრო გაიზრდება და შესაბამისად, დასაქმდება კიდევ უფრო მეტი დევნილი. რაც შეეხება სასათბურე მეურნეობას, ყოლბაიას თქმით, სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და სავარაუდოდ, ობიექტი რამდენიმე თვეში გაიხსნება. როგორც ყოლბაიამ აღნიშნა, აფხაზეთის მთავრობისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთის გარკვეულ ტერიტორიაზე, განიხილება მეთევზეობის მეურნეობის შექმნის საკითხი, რისთვისაც მოხდება ინვესტიციების მოძიება, სადაც ასევე დევნილები დასაქმდებიან.

სასწავლო წელს ახალი სპორტდარბაზით ხვდებიან

თბილისის 151-ე საჯარო სკოლის 1200-მდე მოსწავლეს ახალი სასწავლო წლიდან თანამედროვე სტანდარტების, რეაბილიტირებული სპორტული დარბაზი ექნება.

სპორტულ დარბაზთან ერთად, სკოლაში წელს დერეფნები, საკონფერენციო დარბაზი და ბიბლიოთეკა გარემონტდა, უნივერსალური დიზაინით გაკეთდა პანდუსები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, მათთვის ადაპტირებულია სპორტული დარბაზიც. ბოლო ორი წლის განმავლობაში სკოლაში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. გარემონტდა საკლასო ოთახები, გაკეთდა თანამედროვე გათბობის სისტემა. ამავე წელს ისე, რომ სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშალოს, კიდევ 15 საკლასო ოთახი გარემონტდება. პროცესი მომავალ წელსაც გაგრძელდება და სკოლის სრული რეაბილიტაციით დასრულდება.

2014 –2015 წლებში 9 ახალი სკოლა აშენდა, ხოლო 8 სკოლა შენდება. ამ ეტაპზე 20 სკოლის პროექტირება მიმდინარეობს, რომელთაგან 6 სკოლის მშენებლობა 2015 წელსვე დაიწყება.

ინტერპრესი

შური და უმადურობა სამშობლოს დაქცევის ხარჯზე!

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიმართვა აჭარის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე. იყო გამოხმაურებებიც.

ვარაუდი იმისა, თუ რამდენად შეასრულებს მიმართვის ავტორთა თხოვნას საქართველოს ხელისუფლება, მით უმეტეს დღევანდელი და მით უმეტეს „რესპუბლიკური პარტიით“ გაჯერებული, ძნელია. სწორედ ამ პარტიის წევრები, „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ ფრთასთან, ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის მეთაურობით, 1995 წლიდან მოყოლებული, დაუღალავად იბრძოდნენ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ.

მათ ინიციატივას ყოველთვის ჰქონდა ფართო გასაქანი შევარდნაძის ხელისუფლებაში და არათუ გასაქანი – ფართო მხარდაჭერაც ავ PR-ში, რომელიც უხვად გადაიცემოდა იმჟამინდელი ტელეკომპანიების მიერ, იბეჭდებოდა პრესაში.

შევარდნაძის ხელისუფლების „ნიჭიერებას“ ეკუთვნის უცხოეთის ჟურნალ-გაზეთების, თანაც ამერიკულის, ფრანგულის, გერმანულის კორესპონდენტების მოწვევა და აჭარასა და მის ლიდერზე უაღრესად ნეგატიური სტატიების შეკვეთა, ცხადია, შესაბამისი ანაზღაურებით.

მიზანი – ჩვენი არ გჯერათ, რომ აბაშიძე, პატარა ფეოდალი, რუსეთის გენერალი, პირწავარდნილი სეპარატისტი, ნარკოტიკებით და იარაღით მოვაჭრე, ერთი სიტყვით, ყველა მანკიერებით შემკული პიროვნებაა და უცხოეთისა დაიჯერეთო. არა მარტო ის, არამედ მისი შვილები, ახლო ნათესავები და თქვენ წარმოიდგინეთ შვილიშვილი, 4 თვის რიკარდო, „ვაშინგტონ ტაიმში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ნარკობარონად იყო მონათლული.

სხვა ამერიკულმა გაზეთმა გამოაქვეყნა საქართველოს საგარეო უწყების დიპლომატთან ავი ინტერვიუ, ცხადია, დიპლომატის თხოვნით სახელისა და გვარის მიუთითებლად. 2003 წელს კი საფრანგეთის ტელევიზიამ, ისიც ცენტრალური ხელისუფლების მოწვევით, დოკუმენტური სატელევიზიო ფილმი გადაიღო ჩვენი „გმირის“ და მის მიერ „დამონებული“ აჭარის შესახებ, რომელიც უმალ აჩვენა პირველმა არხმა, იმჟამინდელი ხელისუფლების მონამ.

ცილისწამებათა მზარდ კასკადს საზღვარი არ ჰქონდა, რამაც აიძულა აბაშიძე, იურისტთა ჯგუფი მიევლინებინა საფრანგეთში იქაური ცენტრალური ტელევიზიის მიმართ სარჩელის აღსაძრავად – იმ შემთხვევაში, თუ ტელევიზია საჯაროდ არ მოიხდიდა ბოდიშს.

ტელევიზიამ ბოდიში მოიხადა, მაგრამ ტალახი, რომელიც აბაშიძეს ესროლეს, დარჩა საზოგადოებაში, ისე, როგორც ამერიკულ გაზეთში გამოქვეყნებული ფალსიფიკაცია. ჩემი, მაშინდელი პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის და თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოთხოვნით, პარლამენტის სხდომაზე მოწვეულიქნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აფციაური (ამჟამად ჩინეთში საქართველოს ელჩი), რომელსაც კატეგორიულად მოვთხოვეთ ამერიკულ გაზეთთან ურთიერთობების გარკვევა და სულ მცირე, ბოდიშის მოხდა, რაც განხორციელდა კიდეც.

ერთი სიტყვით, ცენტრალური ხელისუფლების დაუღალავი შრომის შედეგად შეიქმნა აჭარის მეთაურის მტრის ხატი, რომელსაც უნდა გადაეფარა ხელისუფლების უნიათო მუშაობა. სამწუხაროდ, ამ პროპაგანდას აჰყვა საქართველოს მოსახლეობის საკმაო ნაწილი, ერთობ გაუთვითცნობიერებელი აჭარაში მიმდინარე პროცესებში. იყო ისეთი დროც, როდესაც თბილისიდან აჭარაში ჩასულებს ლამის მოღალატეებად აღიქვამდნენ.

შევარდნაძის ხელისუფლებას რომ გაცილებით მეტი ძალისხმევა გამოეჩინა ქვეყანაში არსებული უამრავი წვრილმანმსხვილმანი საკითხის მოგვარებაში, ნაცვლად ავტონომიებთან ბრძოლისა, დღეს ასეთი ვითარება არ იქნებოდა.

გავიხსენოთ თუნდაც აფხაზთა ლიდერის არძინბას თხოვნა (წერილობითი) შევარდნაძის სახელზე, გამოგზავნილი უზენაეს საბჭოში და ჩემს მიერ პირადად მისთვის გადაცემული. საკითხი საქართველოს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას ეხებოდა – ფედერაციულის ან კონფედერაციულის. შევარდნაძის პასუხი ამ მართლაცდა მნიშვნელოვან საკითხზე იყო 1992 წლის აგვისტო – და ძალისმიერი გზა, ყოვლად მიუღებელი და დამანგრეველი საქართველოსთვის.

ომმა არა მარტო 30000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, არამედ საქართველოც. დღიდან აფხაზეთში შეჭრისა დაიწყო უსწრაფესი პროცესი ძმათა გაუცხოებისა. მას აქეთ წელში ვერ გავსწორდით. ანდა, რა გაგვასწორებდა, წინამორბედის მიერ დაწყებულ „სანაქებო“ საქმეს – ფაქტობრივ დაკარგვას, სააკაშვილმა იურიდიულიც მიაყოლა.

დაიკარგა 2 ავტონომიური ფორმირება, მაგრამ აჭარამ გაძლო, არადა აჭარა ცენტრის მანკიერი ყურადღების ქვეშ ჯერაც გამსახურდიას მმართველობის დასაწყისში მოექცა, როდესაც ზოგიერთი თავგახურებული „მრგვალი მაგიდის“ (აჭარიდან) წევრი დაბეჯითებით მოითხოვდა აჭარის ავტონომიის გაუქმებას.

აბაშიძემ აჭარა გადაარჩინა მაშინაც, როდესაც კიტოვან-იოსელიანის სახალხო ლაშქარი სამეგრელოს დალაშქვრის შემდეგ ჩოლოქს მიადგა. მაშინ აბაშიძემ აჭარაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზის დახმარებით ჩოლოქი გადაკეტა, რითაც აჭარა იხსნა ცენტრის დარბევისგან, მოსალოდნელი სამოქალაქო ომისგან.

მე წაკითხული მაქვს თურქეთში მცხოვრები ქართველების (აჭარიდან) წერილი აბაშიძის სახელზე, სადაც ისინი მზადყოფნას გამოთქვამდნენ აჭარელთა დასახმარებლად. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა შეიძლება მოჰყოლოდა გონგამოცლილი თბილისელი „პოლიტიკოსების“ აშკარად პროვოკაციულ გამოხდომას?

აბაშიძემ გაუძლო და მასთან ერთად გაუძლო აჭარამ, რომელსაც დანარჩენ საქართველოში (სამხრეთ-ოსეთი, აფხაზეთი, სამეგრელო) დატრიალებული უბედურება არ შეხებია. იყო თუ არა ამის გაკეთება იოლი? ნამდვილად არა. ეს გმირობის ტოლფასია.

გმირობაა, როდესაც იმჟამინდელ საქართველოში, დღეში ათასობით ბინა იძარცვებოდა, იტაცებდნენ ავტომანქანებს, ერთი სიტყვით, კრიმინოგენური ვითარება ზენიტს აღწევდა, მაგრამ არა აჭარაში. ავტომანქანებიც გაუტაცებლად იდგნენ აჭარის ქუჩებში, სახლებსაც არავინ ძარცვავდა. ერთი სიტყვით – აჭარა სხვა პლანეტაზე იყო – სიმშვიდეზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე, სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული.

აბაშიძე, ერთის შეხედვით, თავის ბუდეს იშენებდა, მაგრამ ეს ბუდე საქართველოსი იყო. სწორედ ამ ბუდემ მიიზიდა უსაქმოდ, უსახსროდ დარჩენილი საქართველოს ხელოვნების მუშაკები, მწერლები, მხატვრები, თეატრისა და კინოს რეჟისორები, მსახიობები აჭარაში და დაიწყო ქართული კულტურის გადარჩენა; ბათუმის ოპერის თეატრის დასის შექმნა, საბალეტო და საოპერო სტუდიების დაარსება, ბავშვთა ოპერის შექმნა, აჭარის სიმღერისა და ცეკვის ხალხური ანსამბლის სათანადო დონეზე ამოქმედება– რომელი ერთი ჩამოვთვალო.

რამდენ კეთილ საქმეს ჩაუყარა საფუძველი ასლან აბაშიძემ - ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვიტყვი მხოლოდ ზოგიერთზე. ასლან აბაშიძის მეგობარი თბილისელი ნიკოლოზ გულიაშვილი სულ იმას გაიძახოდა - ამ კაცს უნდა უმადლოდეს საქართველო, რომ ბათუმის შესასვლელი რუსეთის სამხედრო ბაზის შენობებისგან გაანთავისუფლაო. და მართლაც, კილომეტრობით მიჯრით აშენებული სამხედრო დანიშნულების შენობები ფარავდა ზღვის პეიზაჟს. აბაშიძეს არაერთხელ დასჭირდა მოსკოვში ჩასვლა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროში მისვლა, აღნიშნული შენობების ბათუმის გარეუბანში გადასატანად. გააკეთა!

ასლან აბაშიძის განკარგულებით აშენდა ახალი საბაჟო-გამშვები პუნქტი, კეთილმოეწყო სარფის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე მეზობელი თურქეთისა.

ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში აშენდა არაერთი ქარხანა-საწარმო, მათ შორის, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებისა. დაიწყო სამხედრო დანიშნულების კატარღების მშენებლობა.

აჭარის მეთაურის თაოსნობით სანკტ-პეტერბურგის გემთმშენებელმა ქარხანამ ბათუმს კატარღების ასაშენებელი ნახაზები და დოკუმენტაცია გადასცა, მოუმზადა კადრები. ბათუმში შეიქმნა საწარმო და ნაწარმმაც მალე იჩინა თავი. სამწუხაროდ, აბაშიძის ამ წამოწყებას მხარი არ აუბა ცენტრმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბათუმური კატარღები ქართული სამხედრო-საზღვაო ძალებისთვისაც იქნებოდა გამოყენებული და უცხოეთშიც გაიყიდებოდა.

აჭარაში აშენებული ხიდები, გვირაბი, ბათუმის საბორნე გადასასვლელი აბაშიძის კრიატიული გონების ნაყოფია, ისე, როგორც ბათუმის შესანიშნავი სამშობიარო სახლი, ბაგა-ბაღი, სკოლები. ხულოს სამედიცინო ცენტრი, ტროტუარების მოსაპირკეთებელი ფილების ქარხანა. ბათუმის რძის კომბინატი და სხვა.

აბაშიძის არც ერთ წამოწყებას ოფიციალური თბილისი ჯეროვნად არ შეხვედრია, კრიტიკა და ლანძღვა – იცოცხლეთ. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ – ჟურნალისტ ყანდიაშვილის სატელევიზიო გამოსვლას, სადაც ის მოსახლეობას ურცხვად უცხადებდა – „თქვენ რომ პენსიებსა და ხელფასებს არ იღებთ, აბაშიძის ბრალიაო“.

მართალია, ყანდიაშვილმა მოგვიანებით ბოდიში მოიხადა ამ დემაგოგიისთვის, მაგრამ გაკეთებულ სიბინძურეს რაღა ეშველებოდა?!

საქართველოში არ იყო ხელფასები, პენსიები, შუქი და იყო აჭარაში. მაინც როგორ მოახერხა აჭარის მეთაურმა ჩაბნელებული საქართველოს ერთი რეგიონის განათება?! განათება არა მარტო სახლების, არამედ ქუჩების და ტროტუარების ჩაყოლებაზე არსებული ხეების. მახსოვს, ისრაელის მთავარი რაბინისა და მისი თანმხლები პირების ბათუმში ვიზიტისას (რეკონსტრუირებული სინაგოგის გახსნასთან დაკავშირებით), გაჩახჩახებული ბათუმის მნახველი სტუმრები აღტაცებას ვერ მალავდნენ – ლას-ვეგასიაო – ამბობდნენ.

აჭარა იყო პირველი, ვინც საქართველოდან გაწევრიანდა ევროპის რეგიონთა ასამბლეაში. ასლან აბაშიძემ უმალ აუღო ალღო რეგიონთა ასამბლეის მუშაობას, აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში, სისტემატურად იღებდა მონაწილეობას ასამბლეის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ესპანეთში, ფინეთში, სხვაგან.

საქართველოს პოლიტიკოსებიდან მხოლოდ ასლან აბაშიძე გამოდგა, რომელმაც საფუძვლიანად გაითავისა რეგიონალიზმის პრინციპები, რეგიონალური თანამშრომლობა და ა.შ. ქვეყნის ფედერალური მოწყობისთვის აბაშიძის მოსაზრების გაზიარება უდავოდ წაადგებოდა ქვეყანას. ცენტრი ისე, როგორც ყველა აბაშიძისეულ წამოწყებას, „ხიშტებით“ ხვდებოდა.

ნეგატიური რეაქცია გამოიწვია თბილისში აჭარის წარმომადგენლობის გახსნამაც, რომელიც სეპარატიზმის გამოვლინებად მოინათლა თბილისელი პოლიტიკოსებისა და მედიის მიერ. „აბაშიძემ საქართველოში საელჩო გახსნაო“, - გაჰყვიროდა მედია. მოგვიანებით, როდესაც წარმომადგენლობამ ფართოდ გაშალა ფრთები – საქართველოსთვის უმწვავეს საკითხებზე პრეს-კონფერენციების მოწყობით და მასში დარგების სპეციალისტების მოწვევით, თემატური საღამოების ორგანიზებით და მათზე საქართველოში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატების დასწრებით, მედიამ დაინახა აჭარის მეთაურის საღი გადაწყვეტილების ნაყოფი.

წარმომადგენლობის მუშაობის შედეგად გააქტიურდა თბილისში მყოფი უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატების ვიზიტები აჭარში, შეხვედრები ასლან აბაშიძესთან. განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა აშშ-ის, რუსეთის, საფრანგეთის, თურქეთის, ისრაელის, რუმინეთის, ჩინეთის, ირანის, სხვა ქვეყნების დიპლომატების ვიზიტები აჭარაში ასლან აბაშიძესთან შესახვედრად.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ ვიყავი ბათუმში აშშ-ის ელჩ მაილსთან, საფრანგეთის ელჩ მიუსოსთან, ევროსაბჭოს წარმომადგენელ ნიკოლოვთან, გაეროს წარმომადგენელ ტალიავინთან, სხვა ქვეყნების ელჩებთან ერთად.

აჭარის დელეგაცია ორჯერ იყო მიწვეული ირანში, აჭარასთან დაძმობილებულ გილანის პროვინციაში, აშშ-ში, საფრანგეთში, ჩინეთში, რუმინეთში, სხვაგან. მეტად ნაყოფიერი გამოდგა ჩინეთში ვიზიტი, რომელსაც ჩინელი სპეციალისტების საპასუხო ვიზიტი მოჰყვა – ასლან აბაშიძის წამოწყების – თავისუფალი ეკონომიკური ზონისთვის შესაბამისი საკანონმდებლო დოკუმენტის მოსამზადებლად.

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა პროექტი ჩააგდო. არადა მისი მიღება უდავოდ დადებით შედეგს მოუტანდა სრულიად საქართველოს, ვინაიდან მასზე იყო გათვლილი და არა მარტო აჭარაზე. თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა მოახდინა ჩინური სასწაული.

ასლან აბაშიძემ დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთთან და სამხრეთ-ოსთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებაში. მარტო ის რად ღირს, როდესაც ვლადისლავ არძინბას ოჯახის წევრის გარდაცვალებაზე, სოხუმში, ბათუმის მერი და ასლან აბაშიძის ვაჟიშვილი გაიგზავნა.

ვიხსენებ ამერიკელი ექსპერტ ბრიუს ჯეკსონთან ერთად ბათუმში ასლან აბაშიძესთან ხანგრძლივ საუბარს. ეს, ის ჯეკსონია, რომელმაც თავისი რჩევით ბალტიისპირა ქვეყნები შეიყვანა ნატოში. საუბრის შემდეგ მან თქვა: ასლან აბაშიძე და აჭარის მაგალითი საუკეთესოა აფხაზეთის შემოსაბრუნებლადო.

ვერ აიტანა ცენტრმა ასეთი მამულიშვილი და აიძულა, სამშობლოდან წასულიყო. 2004 წლის მაისის დასაწყისში გააძევეს ქვეყნიდან, რომელიც ღვიძლი შვილივით უყვარდა. და არა მარტო გააძევეს, სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს მის წინააღმდეგ. საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ საქართველომ აჭარა დაიბრუნა. სამწუხაროდ, ამ ბინძურ ვერსიას საქართველოს თითქმის ყველა პარტია დაბეჯითებით იმეორებდა, სააკაშვილის გულის გასახარად. არადა, რა ჰქონდა აჭარას დასაბრუნებელი?!

ჰქვია თუ არა ამას უმადურობა, გაუტანლობა, პიროვნების მიერ გაკეთებული კეთილი საქმეებისთვის ტალახის სროლა?!

აჭარას, საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შემდეგ, არაერთი ხელმძღვანელი ჰყავდა, მაგრამ მათ შორის დიდ მემედ აბაშიძეს და მის შვილიშვილ ასლანს იხსენებენ. დანარჩენები არ ახსენდებათ.

ახსენდებათ პოზიტიურად, იმათ მიერ გაკეთებული საქმეების გამო. გაახსენდებათ მომავალშიც, ვინაიდან ამ პიროვნებებმა

მყარად დაიმკვიდრეს ადგილი საქართველოს ისტორიაში. ასეთს დაფასება სჭირდება და არა განდევნა, მაგრამ შეისმენს ამას საქართველოს ხელისუფლება?!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ეროვნული ვალუტები უფასურდება

10 ქვეყანას შორის საქართველო არ ფიგურირებს

სააგენტო „ბლუმბერგის“ სტატიაში სახელწოდებით „10 ვალუტა, რომელიც შეიძლება მიჰყვეს ტენგეს ჩინეთის მიერ გამოწვეულ ინფლაციაში“, აღნიშნულია, რომ გლობალურ სავალუტო ვაჭრობაში გამოწვეული ბოლო შოკის გამო განვითარებად ქვეყნებს თავიანთი ვალუტის დაცვა ძალიან ძვირი უჯდებათ.

სტატიაში, ასევე აღნიშნულია, რომ პრობლემების წინაშე აღმოჩნდა საუდის არაბეთის რიალი და ეგვიპტური გირვანქა, ასევე საფრთხე ემუქრებათ ჩინეთსა და რუსეთთან ეკონომიკური კავშირების მქონე ქვეყნებს. წინასწარი პროგნოზით, იმ ქვეყნებს შორის, სადაც ეროვნული ვალუტის კურსი დაეცემა, დასახელდა სომხეთი, თურქეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და ეგვიპტე. დაიწევს ყაზახური ტენგე, რომლის კურსიც უკვე 22%-ითაა შემცირებული.

როგორც წესი, ყაზახეთი ფინანსური ბაზრების ყურადღების მიღმა რჩება. თუმცა, ცენტრალური აზიის სწორედ ამ ქვეყანამ გამოიწვია ბოლო შოკი გლობალურ სავალუტო ვაჭრობაში.

მას შემდეგ, რაც ყაზახეთმა ხელი აიღო ვალუტის გაცვლითი კურსის კონტროლზე, ტენგე 22 პროცენტით დაეცა, რამაც პრობლემის გადაჭრის აუცილებლობის წინაშე დააყენა გადაწყვეტილების მიმღები პირები: მათ ხომ ერთი დღით ადრე სცადეს მართვადი ინფლაციის განხორციელება. ამ ესკალაციამ მიანიშნა ინვესტორებს, რომ განვითარებად ქვეყნებს ძალიან ძვირი უჯდებათ თავიანთი ვალუტის დაცვა. ვიეტნამშიც დაფიქსირდა დონგის დევალვაცია, ხოლო თავისუფალ სავაჭრო მიმოქცევაში არსებული ვალუტები (მაგალითად, სამხრეთაფრიკული რანდი და თურქული ლირა) კვლავ განაგრძობს დაცემას.

ინფლაციის ტალღის მიზეზი კი იყო ჩინეთის 11 აგვისტოს მიერ გადაწყვეტილება იუანის შესუსტებასთან დაკავშირებით, რამაც წამგებიან მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნები, რომლებიც ექსპორტის ბაზრებზე კონკურენციას უწევენ მსოფლიოს მეორე უმსხვილეს ბაზარს და რომელთაგანაც ის იძენს პროდუქციას. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაამძაფრა განვითარებადი ბაზრების პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია აშშ-ის საპროცენტო განაკვეთების ზრდითა და ნავთობის ფასების დაცემით. ზოგიერთი ქვეყნის წინაშე (მაგალითად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები) დამატებითი პრობლემა დგას: რუბლის მიმდინარე ვარდნა მათ წამგებიან მდგომარეობაში აყენებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებში.

ვალუტების ჩამონათვალი, რომლებიც ამ გლობალური მოვლენების ერთობლიობის გამო ყველაზე დიდი რისკის წინაშე დგას:

საუდის არაბეთის რიალი: როგორც Deutsche Bank AG იუწყება, მსოფლიოს ყველაზე მსხვილ ნავთობის ექსპორტიორს, საუდის არაბეთს (672 მილიარდი დოლარის ოდენობის საგარეო რეზერვი) აქვს უნარი, გაუძლოს ინფლაციას. მიუხედავად ამისა, მავანნი ირწმუნებიან, რომ სავალუტო რეჟიმი გატყდება, რადგანაც გადაუმუშავებელი ნავთობის ფასი ყველაზე დაბლა დაეცა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში. ფინანსური კონტრაქტების გაფორმებამ, რომელთა მეშვეობითაც ხდება გათვლა მომავალში ფასების ცვლაზე ან თავის დაზღვევა ამისაგან, ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია 2003 წლის შემდეგ, რამაც ბოლო წლის განმავლობაში გამოიწვია რიალის ერთი პროცენტით დაცემა.

თურქმენული მანათი: იანვარში თურქმენეთმა (რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების მქონე ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანა) განახორციელა თავისი ვალუტის დევალვაცია 19 პროცენტით. სტოკჰოლმში მომუშავე კომპანია SEB AB-ის პროგნოზის თანახმად, მომდევნო ექვს თვეში მოსალოდნელია ინფლაცია კიდევ 20 პროცენტით.

ტაჯიკური სომონი: ამ ქვეყანას აქვს მჭიდრო კავშირები ყაზახეთთან, რომელთანაც ვაჭრობის წილი შეადგენს დაახლოებით 11 პროცენტს. კომპანია SEB AB ვარაუდობს 10-დან 20 პროცენტამდე ინფლაციას.

სომხური დრამი: ბოლო 12 თვეში ამ ვალუტამ განიცადა 15-პროცენტიანი ინფლაცია (შედარებისთვის, რუბლი დაეცა 46 პროცენტით). ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მეოთხედი მოდის რუსეთზე.

ყირგიზული სომი: BMI Research-ის თანახმად, ყირგიზეთსა და ყაზახეთს შორის ახლო კავშირების გამო ტენგეს დაცემა საფრთხეს შეუქმნის სომს.

ეგვიპტური გირვანქა: 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ გამოწვეული კრიზისის გამო ქვეყანაში შეიმჩნევა უცხოურ ვალუტაზე ინვესტორთა წვდომის ნაკლებობა. ტრეიდერები ამტკიცებენ, რომ გირვანქა ერთ წელიწადში 22 პროცენტით დაეცემა, როგორც ამას მოწმობს 12-თვიანი ე.წ. სამომავლო ფინანსური კონტრაქტები.

თურქული ლირა: მართალია, ჩინეთში 11 აგვისტოსგანხორციელებული დევალვაციის შემდეგ ლირა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მყარ პოზიციას ინარჩუნებს, ძალადობა პოლიტიკური ნიშნით და ვადამდელი არჩევნების ჩატარების ალბათობა მდგომარეობას უარესისკენ ცვლის.

ნიგერიული ნაირა: გადაწყვეტილებათა მიმღები პირები ამ ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანაში ცდილობენ, შეინარჩუნონ ეროვნული ვალუტა ისეთ დონეზე, რომელიც ბევრს ზედმეტად მაღალი ეჩვენება. სამომავლო ფინანსური კონტრაქტები ცხადყოფს, რომ მომავალ წელს ნაირა 20 პროცენტით დაეცემა დოლართან მიმართებით.

განური სედი: განაც ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანაა, თუმცა, მისი მთავარი პრობლემაა ფისკალური დისბალანსი, მზარდი იფნლაცია და ვალი.

ზამბიური კვაჩა: ეს ქვეყანა ძალიან არის დამოკიდებული ჩინეთზე, რადგანაც მისი ექსპორტის 70 პროცენტი სპილენძზე მოდის.

მალაიზიური რინგიტი: ხუთშაბათს ამ ქვეყნის ვალუტა დაეცა ყველაზე დაბლა ბოლო 17 წლის განმავლობაში, ხოლო ოქროს სავალუტო რეზერვი პირველად 2010 წლის შემდეგ, დაეცა 100 მილიარდი დოლარის ნიშნულზე ქვევით.

◎ რაც მართალია, მართალია...

„ჩვენ ვა-ბანკზე მივდივართ!“

წარმატებული ადამიანები შეცდომებსა და წარუმატებლობებზე

თავის დროზე ალბერტ აინშტაინი ამბობდა, რომ ადამიანს, რომელსაც შეცდომები არ დაუშვია, არასდროს გაუკეთებია რაიმე ახალი.

ბევრი წარმატებული ადამიანისთვის შეცდომა სწორედ მომავალი წარმატებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

გთავაზობთ ცნობილი და წარმატებული ადამიანების გამონათქვამებს შეცდომებსა და წარუმატებლობებზე.

„ყოველი წარუმატებელი მცდელობა — კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია“, — **თომას ედისონი, ამერიკელი გამომგონებელი.**

„ზოგჯერ, როდესაც რაიმე ახალს აკეთებთ, თქვენ შეცდომებს უშვებთ. ამიტომ სჯობს, სწრაფად აღიაროთ ისინი და სხვა დაწყებული საქმეების გაუმჯობესებით დაკავდეთ“, — **სტივ ჯობსი, კომპანია Apple-ის დამფუძნებელი.**

„თუ თქვენ შეცდომებს არ უშვებთ, მაშინ არც გადაწყვეტილებებს იღებთ“, — **კეტრინ კუპკი, სოციალური ქსელის MyYearbook-ის დამფუძნებელი.**

„წარმატება ქებას ნამდვილად იმსახურებს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია იმ გაკვეთილების გათვალისწინება, რომელსაც ჩვენივე შეცდომები გვასწავლიან“, — **ბილ გეიტსი, „მაიკროსოფთის“ თანადამფუძნებელი.**

„ნუ შეგრცხვებათ თქვენი წარუმატებლობის, ისწავლეთ თქვენსავე შეცდომებზე და დაიწყეთ ყველაფერი თავიდან“, — **რიჩარდ ბრენსონი, კორპორაცია „ვირჯინ ჯგუფის“ დამფუძნებელი.**

„ყოველი შეცდომა, ეს გამოცდილებაა, რომელიც რაღაც ახალს გასწავლით და გაქეზებთ, იმაზე უკეთესი იყოთ, ვიდრე ხართ“, — **ოპრა უინფრი, ამერიკელი ტელეწამყვანი.**

„მნიშვნელობა არა აქვს, რა დონემდე აღზევდებით, რადგან ადრე თუ გვიან, აუცილებლად წაბორძიკდებით და დაეცემით. თუ საკუთარ თავს ყოველთვის სიმაღლეზე ასვლისკენ უბიძგებთ, აუცილებლად ჩამოვარდებით. და როცა ეს მოხდება, მინდა იცოდეთ, რომ არ არსებობს შეცდომები. შეცდომა ეს მხოლოდ ახალი შესაძლებლობაა, რომელსაც ცხოვრება გვთავაზობს, რომ სხვა მიმართულებით წავიდეთ“, — **ოპრა უინფრი, ამერიკელი ტელეწამყვანი.**

„ხშირად დაუშვით შეცდომები, რომ უფრო მალე მიხვიდეთ წარმატებასთან“, - **ტომ კელი, უმსხვილესი კონსალტინგური კომპანია „იდეოს“ დირექტორი.**

„ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ შეცდომებს ვუშვებთ და ყოველთვის არ ვართ მართალი. წარუმატებლობა, ეს წარმატების დამაბრკოლებელი კი არა, წარმატების ნაწილია“, — **არიანა ჰაფინგტონი, ინტერნეტ-გამოცემა Huffington Post-ის დამფუძნებელი.**

„არასდროს შეშინდეთ წარუმატებლობით. რამდენიმე წელი მოვანდომე ჩემი მტვერსასრუტის ათასობით პროტოტიპის შექმნას. თითოეული მათგანი წარუმატებლად სრულდებოდა, ვიდრე ის ერთადერთი წარმატებული არ შევქმენი. ახლა „დისონში“ 1 500 ინჟინერი მუშაობს, რომლებიც იგივეს აკეთებენ: მუდმივად რაღაცას ქმნიან, უშვებენ შეცდომებს, იტანენ წარუმატებლობას, ვიდრე სათანადო შედეგს არ მიაღწევენ. ეს ერთადერთი გზა არის წარმატებისკენ“, — **ჯეიმს დაისონი, ცნობილი ინგლისელი გამომგონებელი, კომპანია „დისონის“ დამფუძნებელი.**

„შეცდომები ახალი აღმოჩენების განუყოფელი ნაწილია. როდესაც პროცესი არ ჩერდება, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი წარუმატებლობები არცთუ დიდია. ჩვენ ვა-ბანკზე მივდივართ, რათა საბოლოოდ მიზანს და წარმატებას მივაღწიოთ“, — **ჯეფ ბეზოსი, „ამაზონის“ გენერალური დირექტორი და დამფუძნებელი.**

მოამზადა
მამუკა იმერლიშვილმა

◎ სტიქიის შემდეგ

მაშველებმა და მესაზღვრეებმა თუშეთიდან 620 ტურისტი ჩამოიყვანეს

ახმეტის რაიონში, ომალო-ლეჩურის გზაზე, მეწყერის ჩამოწოლის შედეგად, ალვანი-ომალოს მონაკვეთზე გზის სავალი ნაწილი ჩაიხერგა, რის გამოც იქ მყოფი ქართველი და უცხოელი ტურისტები ვეღარ ახერხებდნენ ომალოდან დაბრუნებას.

შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის დავალებით, 23 აგვისტოს გამთენიისას დაიწყო სამაშველო ღონისძიება ომალოში ჩარჩენილი ტურისტების დასახმარებლად. სამაშველო ღონისძიებაში ჩართული იყო სასაზღვრო პოლიციის 2 ვერტმფრენი.

სამინისტროს ცნობით, სამაშველო ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მღებრიშვილი და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორი ზვიად ქაწაშვილი.

სასაზღვრო პოლიციის მეხუთე სამმართველოს (ლაგოდეხი) მეშვიდე სასაზღვრო სექტორის (ომალო) თანამშრომლებმა ტურისტები და ადგილობრივი მოსახლეობა საკვებით მოამარაგეს“.

სიმსივნისგან განკურნებული 6000 პაციენტი:



გერმანელი ონკოლოგის რევოლუციური მიგნება...

გერმანელი ონკოლოგი რაიკ ჰამერი შვილის გარდაცვალების შემდეგ, 1978 წელს სიმსივნით დაავადდა. ორმაგი შოკის შემდეგ, ის ეცადა, თავი ხელში აეყვანა და ყველაფერი, როგორც პროფესიონალ და გამოცდილ ონკოლოგს, ისე შეეფასებინა. გამოკვლევებისა და საკუთარი ანალიზების შედეგად, ექიმი მივიდა დასკვნამდე, რომ სიმსივნე მას დიდი სტრესის გადატანის შედეგად გაუჩნდა.

იმისთვის, რომ საბოლოო დასკვნა გამოეტანა, ჰამერმა შეისწავლა სხვა პაციენტების გამომწვევი მიზეზები და აღმოაჩინა პირდაპირი კავშირი სტრესს, დაჩრდილვებს ტვინის გარკვეულ უბნებში, რომლებიც შოკის სპეციფიურმა სახეობამ გამოიწვია და შესაბამის ორგანოებს შორის, სადაც სიმსივნე განვითარდა.

ონკოლოგმა ავადმყოფობის 40 000-ზე მეტ ისტორიაზე დაყრდნობით, მრავალი წლის მანძილზე შექმნა თეორია , რომლის თანახმადაც ყველა დაავადების საფუძველი ფსიქოლოგიური ტრავმის გარკვეული სახეობებია. ჰამერმა მას DIRK HAMER SYNDROME (DHS) უწოდა, თავისი ვაჟის – დირკის სახელი, რომლის ტრაგიკული სიკვდილიც მისი დაავადების მიზეზი გახდა.

თავისი შეხედულებები რაიკ ჰამერმა, ჰოლისტიკის მსოფლმხედველობაში (ფილოსოფიური და სამედიცინო წარმოდგენები, რომლებიც ბუნების ყველა მოვლენას, მათ შორის, ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს აერთიანებს) გააფორმა შეხედულებათა სისტემაში, სახელწოდებით – „ახალი გერმანული მედიცინა“.

საკუთარი (შვილის გარდაცვალებისა და შემდგომი ავადმყოფობის) და სხვების გამოცდილებიდან გამომდინარე, ონკოლოგმა გამოყო სიმსივნის გამომწვევი სინდრომის ცნება, ეს სტრესიც კი არაა, ეს არის უმძიმესი ფსიქოლოგიური ტრავმა. ავადმყოფობის 15 000 ისტორიაში მან შეძლო დოკუმენტურად აღეწერა კავშირი ამ საწყის სინდრომსა და დაავადების შემდგომ განვითარებას შორის.

ათასობით ისტორიის შესწავლა რაიკს დაეხმარა ე.წ. „კიბოს რკინის კანონის“ ფორმულირებაში, რომელსაც მისი აზრით, წინ ვერაფერი აღუდგება. კიბოს ყოველი დაავადება იწყება DHS-ით. ის შოკის საკმაო და ბრუტალური ფორმით ვლინდება, ყველაზე დრამატული და მწვავე კონფლიქტის, რომელიც კი ადამიანს განუცდია მარტოობაში.

არსებითად გვევლინება კონფლიქტის ან ფსიქიკური ტრავმის სახეობა, გამოვლენილი DHS-ის მომენტში, თავისი მახასიათებლებით, რომლებიც შემდეგნაირად განისაზღვრება ჰამერის ფოკუსი – ტვინის სპეციფიური უბანია, რომელიც ფსიქიკური ტრავმის ზემოქმედებით სერიოზულად დაზიანდა და შედეგად დაიწყო ორგანოებში კანცეროგენური უჯრედების გამრავლება, ტვინის გარკვეული უბნის მიხედვით.

დაავადების ლოკალიზაცია კონკრეტულ ადგილას ხდება. არსებობს ორგვარი პირდაპირი კავშირი კონფლიქტის ევოლუციასა და კიბოს განვითარებას შორის – გონებრივი და ორგანული.

მეორე და მესამე კონფლიქტური ვითარება DHS-სთან, შესაძლებელია, პირველ კონფლიქტთან იყოს კავშირში. კიბოს დიაგნოზმა შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილის უეცარი შიში, რომელიც წრიული ჩრდილების გაჩენით აისახება ფილტვებზე ან ძვლებზე კიბოს სახით. ჰამერის აზრით, ეს არ არის მეტასტაზები, ეს არის ახალი სიმსივნური წარმონაქმნები, რომლებიც ახალმა ფსიქიკურმა სტრესმა გამოიწვია.

იმ მომენტში, როდესაც კონფლიქტი დადებითად გადაწყდება, ხდება პოლარობის ინვერსია და ტვინის ფუნქციის მოშლა, შეშუპების წარმოქმნა. ამავე დროს გონების კომპიუტერის არასწორი კოდირების გამო ანარქიულად გამრავლებადი უჯრედები აღარ ახდენენ ინერვირებას ამ შეცდომითი კოდირების გამო და სიმსივნე ზრდას აჩერებს. უკუპროცესს თან ახლავს შეშუპების განვითარება სიმსივნის მიდამოში, ასციტი (სითხის დაგროვება) და ტკივილი.

როდესაც ემორჩილება გადაწყობილ ნერვულ სიგნალებს, ორგანიზმი იწყებს პრობლემურ ადგილებზე გარდაძმნის ხანგრძლივ პროცედურას შეშუპების წარმოძმნის გზით: უბრუნდება ნორმალური ძილი და მადა, თუმცა, სისუსტისა და დაღლილობის შეგრძნებამ შეიძლება მცდარ დიაგნოზამდეც მიგვიყვანოს.

აღდგენითი პერიოდის დროს შეიძლება სხვადასხვა სახის ცერებრალური გართულებები განვითარდეს, რაც დამოკიდებულია კონფლიქტის მოგვარების ხანგრძლივობასთან და ჰამერის ფოკუსის ლოკალიზაციასთან. შეშუპების დროს აუცილებელია, ამოღებული იქნას ალკოჰოლი, კორტიზონის პრეპარატები, შარდმდენები და ყავა. გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები: ზოგჯერ ყინული, რომელსაც ყელზე და შუბლზე ისმევენ. ასეთ დროს სითხის მოხმარება მკაცრად უნდა გაკონტროლდეს და გარკვეული დოზით შემოიფარგლოს.

დღემდე ექიმები იცავდნენ დაუწერელ კანონს, რომლის მიხედვითაც ავადმყოფი არ უნდა დაიტანჯოს ტკივილებით, რომლებიც სიკვდილის წინ იწყება და ყველაზე საშინლად ითვლება, რომელიც 4-6 კვირის განმავლობაში გრძელდება. ავადმყოფისათვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ტკივილის სინდრომი ინდივიდუალურია ყველა პაციენტისათვის და თუ ადამიანს ესმის, რომ ეს არის ავადმყოფობის შუალედური



პერიოდი, ის შეძლებს თავი შეიკავოს წამლების მიღებისგან და ფსიქოლოგიურად გაძლიერდეს იმ იმედით, რომ გვირაბის ბოლოს სინათლეს იხილავს.

ჰამერი თანამედროვე მედიცინაში ყველაზე საშინელ პრინციპად ონკოლოგიური დაავადების დროს მორფის გამოყენებას თვლის. დაავადების შედარებით ადრეულ სტადიაშიც კი მცირე ტკივილის დროს მორფის ან სხვა მსგავსი პრეპარატის 1 დოზის მიღებაც კი შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს.

„ახალი გერმანული მედიცინის“ თანახმად ორგანიზმი ავადმყოფობის დროს რამდენიმე სტადიას გადის.

DHS-ს საწყისი ინიცირების შემდეგ დგება დაავადების კონფლიქტურ-აქტიური ფაზის პერიოდი (CA-Conflict Active phase). ეს ფაზა დაკავშირებულია უძილობასთან, უმადობასთან და სხვადასხვა ვეგეტატიურ დარღვევასთან, რომლებიც მრავალი დაავადების გამომწვევია. ფაზა CA შეიძლება გაგრძელდეს წლები და დროთა განმავლობაში ორგანიზმი გაანადგუროს.

კონფლიქტის მოგვარების ეტაპს ჰამერმა CL (Conflictolysis – კონფლიქტის განადგურება) უწოდა. აქ მთავრდება CA ფაზა და იწყება აღდგენითი პერიოდი. ფაზა, რომელიც იწყება CL-ით, ორგანოების ქსოვილების მთლიანი აღდგენის პერიოდია, რომელსაც ჰამერმა PCL (Post Conflicolytic phase-პოსტკონფლიქტური) უწოდა.

ამ დროის განმავლობაში ორგანიზმი თავიდან იშორებს უვარგის კიბოს ან ნეკროტიზირებულ უჯრედებს (ჰამერის თეორია კიბოს გარდა სხვა დაავადებებსაც აკვირდება).

ეს გენერალური დასუფთავება მიკრობების მიერ მიმდინარეობს. PCL პერიოდში ჩვენ მიკრობები გვიტევენ და იწვევენ ინფექციას, ამასთან ერთად მოქმედებენ, ფაქტობრივად, სიმბიოზურად და ათავისუფლებენ ორგანიზმს „ნაგვისგან“. იმას, რასაც მედიცინა ინფექციურ დაავადებას უწოდებს, ჰამერმა „ეპილეპტიკური კრიზისი“ უწოდა.

ჰამერის თეორიის მიხედვით, მიკრობი-დამსუფთავებლები ვერ მოახერხებენ მოქმედებას, თუ არასწორად კოდირებულ სიგნალს მიიღებენ ტვინიდან. სტრესული დაძაბულობა მათ ქსოვილის შიგნით არ უშვებს.

ზემოთ თქმულს თუ დავუბრუნდებით, მორფის ერთი დოზა EC ფაზის დროს შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს, რადგან ჰამერის თეორიის მიხედვით, ეს დოზა ტვინის ფუნქციონირებას ცვლის, კუჭის მუშაობას და ორგანიზმის აღდგენით ფუნქციონირებას პარალიზებას უკეთებს. ლეთარგიულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ვერ აცნობიერებს მორფის მომაკვდინებელ მოქმედებას სწორედ იმ პერიოდში, როცა ის გამოჯანმრთელების გზაზე იდგა. მეორე პერიოდის დროს ტკივილი მართლა კარგი ნიშანია, რადგან ეს არის აღდგენითი პროცესი, მაგრამ მედიცინა ამას ვერ აცნობიერებს.

არ არის გამორიცხული, რომ DHS-ით გამოწვეული კიბოს დაავადების შემთხვევები თავისი განვითარების რაღაც ეტაპზე ჩერდება , უფრო ადრე, სანამ მისი დიაგნოსტირება მოხდება. ეს დაკავშირებულია კონფლიქტის დადებითად გადაჭრასთან. ამ შემთხვევებში ერთადერთი საშიშროება ისაა, რომ არ მოხდეს კაფსულირებული კიბოს არასწორი დიაგნოსტირება. კიბოს დიაგნოზის გაცხადების დროს DHS ტრავმამ შეიძლება ფილტვებში გამოიწვიოს ლაქები. ამით გამოჯანმრთელების გზაზე მდგარი პაციენტი შესაძლებელია ისევ უკან, საერთო თერაპიის ციკლისკენ გადავისროლოთ. მწვავე ლეიკემიაც DHS ტრავმის შედეგია.

კომპიუტერული ტომოგრაფია ტვინის DHS ტრავმებს კონცენტრიკული წრეების სახით აჩვენებს. რადიოლოგებმა შეიძლება ამას არასწორი ინტერპრეტაცია მისცენ, ჩათვალონ, რომ ეს არის მეტასტაზები, ეს კი ჰამერის აზრით, ნიშნავს რომ უამრავ ხალხს ტვინის კიბოს მცდარი დიაგნოზის გამო უსარგებლო ოპერაციები გაუკეთეს.

კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრის პროცესში ჰამერი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიოთერაპიას. ტოქსინები და წამლები კი პირიქით, დესტრუქციულად მოქმედებენ.

„ახალი გერმანული მედიცინის“ პარადოქსულობა იმაში მდგომარეობს, რომ მალიგნიზაციის მექანიზმი შოკის შედეგად გარკვეულ ეტაპზე ორგანიზმისთვის სასარგებლოც კია, მაგრამ რადიო და ქიმიათერაპია პროცესს აძლიერებს და ხელს უშლის კონფლიქტის გადაწყვეტას და ორგანიზმის აღდგენას.

თავისი მეთოდიკის გამოყენებით ექიმმა 6000 პაციენტი მთლიანად განკურნა, თავისი თავისა და ცოლის ჩათვლით. პროფესორი და მედიცინის დოქტორი, 15 წელი მუშაობდა კონვენციალურ მედიცინაში, ასევე თავისი დროის ნაწილი სპეციალური სამედიცინო ინსტრუმენტარიის შემუშავებას მიუძღვნა.

რაიკის რევოლუციური თეორია მედიცინის სამყაროსათვის იმდენად მოულოდნელი და შურის გამომწვევი აღმოჩნდა, რომ მასზე სისხლის სამართლის დევნა დაიწყო.

2004 წლის 9 სექტემბერს, რაიკ ჰამერი ესპანეთში დააპატიმრეს და მისი ექსტრადირება საფრანგეთში მოხდა. 70 წლის პროფესორს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ფორმალურად მას ბრალი ედებოდა ლიცენზიის გარეშე კერძო სამედიცინო პრაქტიკის გამო, გარდა ამისა, მისგან მოითხოვდნენ „German New Medicine“-ის პრინციპების უარყოფას და ბრალს სდებდნენ მისი მეთოდით მკურნალობის შედეგად ბევრი ადამინის სიკვდილში.

პროფესორის დაპატიმრებამ მრავალრიცხოვანთა პროტესტი გამოწვია, მათ შორის, მსხვილი სამედიცინო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მხრიდანაც. მეთოდმა – „German New Medicine“ წარმატებით გაიარა შემოწმება ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა Universities of ienna (1986), Duesseldorf (1992) და Trnava / Bratislava (1998), სადაც შთამბეჭდავი და დამაჯერებელი შედეგები აჩვენა.

საზოგადოების ზემოქმედების შედეგად, 2006 წლის თებერვალში რაიკ ჰამერი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

Reportiori.ge

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

იენს სტოლტენბერგი საქართველოში ნატოს სასწავლო-საწვრთნელ ცენტრს გახსნის

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ჩავა საქართველოში მომდევნო კვირას. ორდღიანი ვიზიტის დროს სტოლტენბერგი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და სხვა ოფიციალურ პირებს. 27 აგვისტოს ალიანსის გენერალური მდივანი მონაწილეობას მიიღებს ნატოსა და საქართველოს ერთობლივი სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის გახსნაში სასწავლო ბაზის ტერიტორიაზე კრწანისში.

შეგახსენებთ, რომ სასწავლო-საწრთვნელი ცენტრის გახსნა გათვალისწინებულია ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ახალ პაკეტით, რომელიც შარშან იქნა წარმოდგენილი უელსში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სექტემბრის სამიტზე. ცენტრი მიზნად ისახავს სამხედრო მოსამსახურეების ერთობლივ სწავლებას ნატოს წევრი ქვეყნებიდან, ქვეყანა-პარტნიორებიდან და საქართველოდან. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ადრე ამასთან დაკავშირებით გამოთქვამდა უკმაყოფილებას, გვაფრთხილებდა, რომ „ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინსტრუმენტების გამოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე გაზრდის დაძაბულობის გრადუსს“. მაგრამ ნატოს წარმომადგენლები არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ „არავითარი მესამე მხარე გავლენას ვერ მოახდენს იმაზე, რომ ნატო გახსნის ცენტრს პარტნიორ ქვეყანაში თუ არა“.

ნატოს გენერალური მდივანი საქართველოში 26-27 აგვისტოს ჩავა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობის თანახმად, პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ინტეგრაციასთან ალიანსში, იქნება განხილვის მთავარი თემა საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა შეხვედრებზე ნატოს გენერალურ მდივანთან.

„ოფიციალური შეხვედრების ფარგლებში განიხილება იმ საკითხების სრული სპექტრი, რომლებიც დაკავშირებულია ნატოში საქართველოს შესვლის პროცესთან და ამ მიმართულებით დაგეგმილ მომდევნო ნაბიჯებთან, არსებული პაკეტის რეალიზაციასთან, რომელიც მიღებულია უელსის სამიტზე და ნატოს 2016 წლის ვარშავის სამიტისათვის მომზადების პროცესში“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

„პოლიტიკური განაცხადი“

თბილისში უკვე რამდენიმე წელია, ელოდებიან ნატოსაგან მაპის მიღებას, თუმცა, დღემდე ქვეყანას სთავაზობენ სხვადასხვა ზომებს ალიანსთან დაკავშირებით, მაგრამ არა მაპს. ამავე დროს 2008 წლის ბუქარესტის სამიტიდან დაწყებული, საქართველოს ჰპირდებიან, რომ ქვეყანას შეუძლია შევიდეს ნატოში, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი განახორციელებს ყველა შესაბამის რეფორმას, რათა შეესაბამებოდეს ალიანსის სტანდარტებს. მაგრამ, როგორც ამ კვირაში ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, მართალია, საინტეგრაციო პროცესების განვითარების დინამიკა ნატოსთან დაკავშირებით, მისი აზრით, დადებითია, თბილისათვის მაინც აუცილებელია, მიიღოს მაპი ალიანსის ვარშავის სამიტზე.

შეგახსენებთ, რომ მაპი — ესაა ოფიციალური პროგრამა ალიანსში ახალი წევრების მიღებისათვის. მასში მონაწილეობა მიზნად ისახავს, დაეხმაროს ქვეყანას, მოემზადოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლისათვის, თუმცა, ამის გარანტიას იგი არ იძლევა.

ხიდაშელის სიტყვებით, საქართველო უკვე წყვეტს ყველა იმ ამოცანას, რომლებსაც ითვალისწინებს მაპი, ასე რომ მაპის მინიჭება, პრაქტიკული თვალსაზრისით, ქვეყანას არაფერს ახალს არ შესთავაზებს. თუმცა, მაპს აქვს მნიშვნელობა საქართველოსთვის პოლიტიკური თვალსაზრისით, მიაჩნია საქართველოს თავდაცვის მინისტრს. როგორც მან 19 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტში თავის გამოსვლაში აღნიშნა, საქართველოსთვის აუცილებელია, ფორმალურად მიიღოს „ის, რაც მას უკვე აქვს, და გააკეთოს პოლიტიკური განცხადება, რომ საქართველომ უკვე გაიარა ერთი ნაბიჯი და უკვე დგას წევრობის გზაზე“.

„თუ უარს გვეტყვიან ამაზე, ვფიქრობ ეს იქნება მეტად მკაფიო გზავნილი, რომ ნატოს ყველა დაპირება მხოლოდ ქაღალდზე რჩება“... სკეპტიციზმი იზრდება... იზრდება გაწბილება საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლის პერსპექტივებთან დაკავშირებით“, — აღნიშნა ხიდაშელმა და დაუმატა, რომ ეს ყოველივე გაძლიერებს პრორუსულ განწყობილებას საქართველოში და გავლენას მოახდენს 2016 წლის არჩევნების შედეგებზე, რომელშიც ასევე მონაწილეობას ღებულობენ პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური ძალები.

ექსპერტების შეფასებები

საქართველოს სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის პროფესორმა თორნიკე შარაშენიძემ დაადასტურა თინა ხიდაშელის სიტყვები **„ამერიკის ხმისათვის“** მიცემულ ინტერვიუში და **აღნიშნა, რომ სხვა მექანიზმების მეშვეობით, საქართველომ ტექნიკურად მართლაც განახორციელა ის რეფორმები, რომლებიც გათვალისწინებულია მაპით, თუმცა, იმის გამო, რომ მაპი არის ალიანსის წევრობის ერთ-ერთი ეტაპი, თბილისმა იგი მაინც უნდა მიიღოს აუცილებლად, აღნიშნავს ექსპერტი.**

გიორგი მჭედლიშვილი საქართველოს უნივერსიტეტიდან, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ ამ ეტაპზე წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით, საქართველო „რამდენჯერმე წინაა“ ალბანეთზე, ხორვატიაზე ან მაკედონიაზე მათ მიერ მაპის მიღების მომენტისათვის 2000 წლის დასაწყისში.

„საკითხი საქართველოსთვის მაპის მინიჭების შესახებ — წმინდა პოლიტიკურია, რომელიც დაკავშირებულია წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური ნების არსებობასთან ან არარსებობასთან. როგორც გვახსოვს, 2008 წელს მთავარი „სკეპტიკოსები“ იყვნენ საფრანგეთი და გერმანია — ისინი ფრთხილობდნენ რუსეთის პოზიციასთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ნატო იყო როგორც წითელი ნაჭერი ხარებისათვის — ყველაზე მთავარი გამღიზიანებელი. უკრაინის კრიზისმა, რომელიც ნახევარი წლის წინათ დაიწყო, გერმანია გახადა გაცილებით უფრო მკაცრი რუსეთთან დაკავშირებით და შესაძლებელია, შემდგომი სამიტის დროს ბერლინი დაიკავებს უფრო მეგობრულ პოზიციას საქართველოს მიმართ, მაგრამ, რასაკვირველია, კონსენსუსის საკითხი, სულ ერთია, რთული საკითხია და საჭირო იქნება მასზე სერიოზული მუშაობა“, — აღნიშნა გიორგი მჭედლიშვილმა ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში.

ტექნიკური მხარის გარდა, ხაზგასმით აღნიშნავს მჭედლიშვილი არის სხვა საკითხიც — მიზანშეწონილობა და უფრო ხანგრძლივი პერიოდი საქართველოს მიერ მაპის მიღების ან მიუღებლობისათვის. ექსპერტის სიტყვებით, დასავლეთი „დიდი დაგვიანებით“ მივიდა უკრაინის დასახმარებლად — ქვეყნისა, რომელიც თითქმის ათჯერ უფრო დიდია, ვიდრე საქართველო ტერიტორიისა და მოსახლეობის მიხედვით და ამავე დროს იმყოფება ევროპის თითქმის ცენტრში.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს პოროშენკომ თავისი სიტყვა რუსეთის ფედერაციის „აგრესიას“ მიუძღვნა

უკრაინა აღნიშნავს ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების 24-ე წლისთავს. სადღესასწაულო ღონისძიებათა პროგრამაშია: დამოუკიდებლობის მარში და გალა-კონცერტი კრეშჩატიკზე; საკონცერტო პროგრამა პევჩესკის ველზე; გამოფენები, მასტერკლასები და კონცერტი „გმირთა სიმღერები“ მიხაილოვის მოედანზე, სხვა ღონისძიებები.

„ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა პალმირაში ძველი ტაძარი აუფეთქეს

ტაძარში ბოევიკებმა ჩადეს ასაფეთქებელ ნივთიერებათა დიდი ოდენობა. აფეთქება იყო ისეთი ძალისა, რომ ტალღამ დააზიანა რამდენიმე ანტიკური სვეტებიც კი, რომლებიც ახლომახლო იმყოფებოდა. მანამდე რამდენიმე დღით ადრე ბოევიკებმა სიკვდილით დასაჯეს პალმირაში არქიტექტურული კომპლექსის მთავარი ზედამხედველი.

სამხრეთი კორეა არ გამორთავს ხმამაღლა მოლაპარაკეებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე, სანამ ფხენიანი ბოდიშს არ მოიხდის ნაღმების გამო

აგვისტოს შუა რიცხვებში სამხედროების აფეთქების ინციდენტის შემდეგ სეულმა განაახლა პროპაგანდისტული მაუწყებლობა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. კორეის რესპუბლიკის ფსიქოლოგიური ომის პროგრამა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ შეჩერდა 11 წლის წინათ. როდესაც 2 სახელმწიფოს ურთიერთობათა შორის შეინიშნებოდა დათბობა. ფხენიანი აღშფოთებულია მაუწყებლობის განახლებით.

ნიუ-იორკში სქესთა თანასწორუფლებიანობისათვის „შიშველი“ აქცია გაიმართა

ყოველწლიური მსვლელობის მოძრაობის მონაწილეები გამოდიან ქალთა შესაძლებლობის მხარდასაჭერად, გაიშიშვლონ ტანი საჯარო ადგილებში, ვინაიდან ამისი ნება აქვთ მამაკაცებს. წელს პროტესტი გაიმართა ნიუ-იორკის ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, აკრძალონ ქალაქის ცენტრში შეღებილი ქალების გამოჩენა, რომლებიც პოზირებას ახდენენ ფოტოებისათვის ტურისტებთან.

◎ ნუნისიდან წამოყოლილი ფიქრები

კაცს თაფლი მისცე და ღმერთს სანთელი!



სასიამოვნო ამბავი შეიტყო ღვთისმშობლის შობის ნუნისის მამათა მონასტრის მრევლმა: წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი პავლე (ერისკაცობაში ალექსანდრე მაჩიტაძე) უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ბრძანებით დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და იღუმენის ხარისხში აღევლინა.

* * *

ნუნისის ტაძარი, რომელიც სამნავიანი ბაზილიკაა, მეცხრე-მეათე საუკუნით თარიღდება და მას ბევრი საინტერესო გადმოცემა უკავშირდება, მათ შორის, წმიდა მეფე დავით აღმაშენებელზე.

ამ გადმოცემის თანახმად, ერთ-ერთი ბრძოლიდან მობრუნებული მეფის ლაშქარი ნუნისში შეჩერებულა და ქანცგაწყვეტილი სახედრებისათვის საპალნე მოუხსნია.

მისიკვდილებული ცხოველები წყალში ჩაწოლილან და მალე მოცოცხლებულან.წყლის ამ სასიკეთო თვისებისთვის თურმე მეფეს ყურადღება საგანგებოდ მიუქცევია და ნუნისის ტაძრისათვის შესაწირი გაუღია.

მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ტაძარი არაერთხელ დანგრეულა და აღდგენილა.განსაკუთრებით მძიმე გამოდგა 1785 წელი. ომარხანმა ჯერ ვახანის ციხე აიღო, შემდეგ კი ტაძარი გადაწვა.

მე-19 საუკუნის მიწურულში განახლებული ტაძარი იმერეთის ეპისკოპოსმა, წმინდა გაბრიელმა (ქიქოძე) აკურთხა, მაგრამ ორი ათეული წლის შემდეგ, ისევე, როგორც საქართველოს ბევრი სხვა ღვთის სახლისთვის, უღმერთობა და მსახვრალი ხელი უმოქმედო და ყველასაგან მიტოვებული ამ ტაძრისთვისაც უმძიმესი გამოდგა. გასული საუკუნის 70-იან წლებში, საბედნიეროდ, ტაძარი შეკეთდა და გადაიხურა კიდეც, მაგრამ მთლიანად ნაგებობა მაინც არასახარბიელო მდგომარეობაში იყო. მას ღვთისმოსავთა მზრუნველობა აშკარად აკლდა, ვიდრე 11 წლის წინათ მარგვეთისა და უბისის მთავარეპისკოპოსის კურთხევით ნუნისის მონასტერში ტაბაკინის მონასტრის ბერი პავლე (მაჩიტაძე) არ დამკვიდრდა.

მრევლს კარგად ახსოვს, მონასტრის ამოქმედების პირველივე დღეებიდანვე თანდათან როგორ დაეტყო სასიკეთო ხელი თავად ღვთის სახლს, მის ეზოსა და შემოგარენს. დღეს კი ამ ტაძარში უფლის სადიდებელს უკვე არა მარტო ამ და მეზობელი ეპარქიების ღვთისმსახურები, მრევლი და სამკურნალო წყლით განთქმული კურორტის — ნუნისის დამსვენებლები აღავლენენ, არამედ მამა პავლესთვის მსახურებისას „შესაშველებლად“ საგანგებოდ ჩასული გელათის სასულიერო აკადემიის თანამშრომლებიც.

* * *

ფუტკრის მრავალი ოჯახი, სანიმუშოდ მოვლილი ყანა, რომელიც მლოცველისთვის ღვთის სახლში შესვლამდეც სასიამოვნო განწყობილებას ჰქმნის და, რაც მთავარია, არცთუ მოზრდილი, სულ 30-კომლიანი სოფლიდან ტაძარში ფაქტობრივად, დედაწულიანად მისული მრევლი იმის თვალნათლივი დასტურია, თუ რა სიკეთე შეუძლია მოიტანოს ჭეშმარიტმა ღვთისმოსაობამ. არადა, ამ ნამდვილ წალკოტში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელ-გასაკეთებელი. ეს მხოლოდ უგზოობაზე როდი ითქმის, რაც ამინდის ოდნავი ჭირვეულობის დროსაც კი უამრავ მსურველს საშუალებას არ აძლევს, მიაღწიოს ნუნისამდე და მის, მართლაც რომ ზღაპრულ კურორტამდე, არამედ ღვთივბოძებულ სიმდიდრესთან დაკავშირებითაც, მათ შორის იმ უკვდავების წყალზე, რომელიც ნუნისის მეზობელ სოფელ ზვარეში მოჩუხჩუხებდა და მთელ საქართველოს მიეწოდებოდა.

სამწუხაროდ, დღეს „ზვარეს“ ჩამომსხმელი ქარხანა ისევეა დაშლილი და საქართველოდან ნაწილ-ნაწილ გაზიდული, როგორც მთელი ჩვენი მრეწველობა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოს მსოფლიო დონითა და სტანდარტებით გამოარჩევდა.

* * *

შემთხვევითი სრულიადაც არ მგონია საქართველოს სულიერი მამის 2015 წლის 16 აგვისტოს ის ბრძანება, რომლითაც იღუმენის ხარისხშია აღვლენილი და ოქროს ჯვრის ტარების უფლებითაა დაჯილდოებული ნუნისის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის წინამძღვარი.

ფუტკარივით გამრჯე და უანგარო ბევრი ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას, რათა ხალხს თაფლი არ დააკლდეს და ღმერთს სანთელი.

ალექსანდრე შენგელია,

„სრ“. საკ.კორ

სურათებზე: ნუნისის ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერი; გამოქვაბულები, სადაც ადრე ბერები ბინადრობენ; მამა პავლე და საქართველოს სხვადასხვა ეპარქიიდან ღვთისმსახურებაში მისი თანამდგომები.

თამაზ დევიძის ფოტოები

◎ ამერ-იმერში

ეხმარებიან სტიქიით დაზარალებულებს

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად სპეციალურ ღონისძიებებს გაატარებს.

ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია სეტყვის შედეგად დაზიანებული ვენახებისა და მრავალწლოვანი ნარგავების გადარჩენა. შესაბამისად, ახალგაზრდა ვენახების თუ მრავალწლოვანი კულტურების შეძლებისდაგვარად აღდგენა-რეაბილიტაციისა და სრულმსხმოიარე ვენახების, ასევე, მრავალწლოვანი ნარგავების პროფილაქტიკის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო სტიქიის ზონების მოსახლეობას სპილენძის შემცველ პრეპარატებს გამოუყოფს. მთავრობის გადაწყვეტილებით, 25 აგვისტოდან მოსახლეობას, ვისაც მფლობელობაში 5 ჰა-მდე ფართობის ვენახი/მრავალწლოვანი ნარგაობა აქვს, რაიონებში არსებულ აგრომაღაზიებში 1 ჰა ფართობზე 65 ლარის ღირებულების პრეპარატების მიღება შეეძლებათ. მაღაზიების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე: 247 01 01. დაზარალებულ მოსახლეობაზე სპილენძის შემცველი პრეპარატების გაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ შედგენილი სპეციალური სიებით მოხდება. მოსახლეობის ხელშეწყობისა და ზარალის რისკების შემცირების მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო სექტემბრის თვიდან აგროდაზღვევის პროექტში ცვლილებებს განახორციელებს. გაიზრდება სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსება და ნაცვლად 60%-ისა, სახელმწიფო სადაზღვევო პრემიის 70% დააფინანსებს.

დევნილებს სოფლად სახლებს შეუძენენ

მუნიციპალური განვითარების ფონდი, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KFW) დაფინანსებით, სოფლად სახლებს შეიძენს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (სსიპ) აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ მოაწერეს ხელი.

„მემორანდუმის მიხედვით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, „სოფლად სახლის„ პროექტის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 400 000 ევროს ღირებულების სახლებს შეიძენს. აღნიშნულ სახლებს დევნილთა და განსახლების სამინისტრო სპეციალური კრიტერიუმების შესაბამისად შეარჩევს“, — აცხადებენ სამინისტროში.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KFW) დაფინანსებით, უკვე დაასრულა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში გათვალისწინებული სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები წყალტუბოში (400 ბინა), ქუთაისში (65 ბინა), ფოთსა (104 ბინა) და ზუგდიდში (320 ბინა). სოფლად სახლების შეძენა, სწორედ, ჩამოთვლილი პროექტების განხორციელების შედეგად დაზოგილი ეკონომიით გახდა შესაძლებელი.

საერთო ჯამში, გრძელვადიანი განსახლების პროექტის ფარგლებში, 889 დევნილი ოჯახის ბინით უზრუნველყოფა მოხერხდა.

გადავარჩინოთ კოლხური ბზა

ზუგდიდში, სამხარეო ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში, საგანგებო თათბირი გაიმართა, რომელშიც თვიმმართველობების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, შინაგან საქმეთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

თათბირის მიზანი ბზის ინტენსიურ ხმობაზე სწრაფი რეაგირების გეგმის განსაზღვრა და კოორდინირებული ზომების მიღება გახლდათ.

„სპეციალისტების განცხადებით, კოლხური ბზის გადაშენების დინამიკამ ბოლო წლებში კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბა. ბზის სიდამწვრით ცნობილმა სოკოვანმა დაავადებამ გაანადგურა კორომების 80% მისი ბუნებრივი გავრცელების მთელ არეალზე. 2014 წელს გურიაში კიდევ უფრო საშიში მავნებელი, ბზის ალურა გამოჩნდა, რომლიც ერთ წელიწადში მთლიანად მოედო გურიის, აჭარისა და სამეგრელოს მუნიციპალიტეტებს.

2013 წლიდან გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ბზის დაავადებაზე რეაგირების სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც მოამზადა ეროვნული გეგმა და მასში გაწერილი ღონისძიებების მცირე ნაწილიც განახორციელა. მნიშვნელოვანი იყო კომუნიკაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კარანტინის გამოცხადებაზე, რომელიც ბზობის დღესასწაულამდე ვერ მოესწრო. ბზობამ განსაკუთრებით გაზარდა როგორც სოკოვანი დაავადების, ასევე საშიში მავნებლის გავრცელების რისკი. შედეგად, 2015 წელს ბზის სიდამწვრე უკვე აღმოსავლეთ საქართველოშიც დაფიქსირდა, ხოლო ალურა — მთელ დასავლეთ საქართველოში.

იქიდან გამომდინარე, რომ ალურას შეუძლია ხეები ერთ დღეში გაანადგუროს და ამის საწინააღმდეგოდ უკვე წარმატებითაა გამოყენებული როგორც ქიმიური, ასევე ბიოლოგიური პრეპარატები, საჭიროა შეწამვლების უმოკლეს დროში ჩატარება. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება საგანგებო სიტუაციის რეჟიმის ამოქმედება, რომელსაც კოორდინაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა უნდა გაუწიოს.

კოორდინაციის ერთიანი სქემის ამოქმედების გარდა, საგანგებო სიტუაციების მართვის ინსტრუმენტი უფლებამოსილ სტრუქტურებს გაათავისუფლებს ყველა პროცედურული ბარიერისგან, რაც პრეპარატების შესყიდვას და გამოყენებას სჭირდება. სპეციალისტები ასევე განიხილავენ პრეპარატების ტყეშიც გამოყენების შესაძლებლობასაც — ბზების ძირითადი ნაწილი უკვე გამხმარია, გადარჩენილი მცირე ნაწილის შეწამვლა კი აღარაა დაკავშირებული დიდ რესურსებთან და ტექნიკურ სირთულეებთან“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

ინტერპრესი

◎ რაგბი

მესამე ეტაპს ინგლისში გაივლიან

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოს თასის 2015 წლის გათამაშების ფინალურ რაუნდში 19 სექტემბრიდან ჩაებმება. გუშინ „ბორჯღალოსნები“ დიდ ბრიტანეთში გაემგზავრნენ და ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის მზადების მესამე დასკვნით ეტაპს იქ გაივლიან. მილტონ ჰეიგის გუნდს საზეიმო გაცილებისას გზა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაულოცა.

მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე ჩვენი ბიჭები სამ საკონტროლო მატჩს გამართავენ: 28 აგვისტოს ისინი ინგლისის „ავივა პრემიერშიფის“ გუნდ „ნიუკასლ ფალკონზის“ შეხვდებიან, 2 სექტემბერს კანადის, 5 სექტემბერს კი იაპონიის ნაკრებს გაუწევენ მეტოქეობას.

მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების შეხვედრათა განრიგი ასეთია:

19 სექტემბერი. საქართველო-ტონგა,

25 სექტემბერი. საქართველო-არგენტინა,

2 ოქტომბერი. საქართველო-ახალი ზელანდია,

7 ოქტომბერი. საქართველო-ნამიბია.

გივი გაგუა

◎ ძიუდო

პაპინაშვილი უმედლოდ დარჩა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებისთვის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი დღე უმედლოდ დასრულდა. მამაკაცთა შორის 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ირაკლი უზნაძის გუნდის უმსუბუქესი წევრი ამირან პაპინაშვილი შეჯიბრებას მერვედფინალიდან გამოეთიშა.

მისთვის დაუძლეველი ზღუდე ყაზახი რუსტამ იბრაიევი აღმოჩნდა. ამ უკანასკნელმა მომგებიანი ვაზარი შეხვედრის შუაწელს აიღო და უპირატესობა საფინალო გონგამდე მშვიდად შეინარჩუნა. იბრაიევთან დაჭიდებამდე ამირან პაპინაშვილმა ორი ეტაპი დაძლია: ლიბანელ დამიან ზიადის ვაზარი-იუკოთი გასცდა, მეთექვსმეტედფინალში კი ჰოლანდიელ ხეროენ მუურენს წლევანდელ ევროპირველობაზე განცდილი მარცხის გამო იუკოთი აუღო რევანში.

კოგა კოგახიძე

◎ მხატვრული ტანვარჯიში

გერმანული ბატალიების რუსული პრელუდია

წლეულს სექტემბერში გერმანია მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრების ერთგვარი პრელუდია იყო გასულ უქმეებზე ყაზანში გამართული მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპი, სადაც უძლიერესმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდნენ მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები, ასევე, სხვადასხვა ტურნირის მედალოსნები – იანა კუდრიავცევა, მარგარიტა მამუნი, ალექსანდრა სოლდატოვა (სამივე რუსეთი), მელიტინა სტანიუტა, კაციარინა ჰალკინა (ბელარუსი), ნეტა რივკინა (ისრაელი) და სხვები. მათ შორის გახლდათ თბილისელი სალომე ფაჟავა, რომელმაც მრავალჭიდში 69.950 ქულა მოაგროვა და მე-6 ადგილი დაიკავა, ამასთანავე სამი საგნით ვარჯიშში ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. სალომემ განსაკუთრებით გურზებით ასპარეზობისას გამოიჩინა თავი – 17.750 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. იგი ბურთით მეშვიდე, რგოლით კი მერვე იყო. მრავალჭიდში ადგილები ასე განაწილდა: 1. მარგარიტა მამუნი (75.550), 2. იანა კუდრიავცევა (75.250), 3, ალექსანდრა სოლდატოვა (74.300). გურზებით, ბურთით, რგოლითა და ბაფთით ვარჯიშში პირველი ადგილები მარგარიტა მამუნს ერგო.

ლექსო ცინცაძე

◎ ნიჩბოსნობა

ბოლო იმედი– 2016 წლის ევროპა

მურმან მალანია

იტალიურ მილანში გამართულ ნიჩბოსანთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე კანოესა და კაიაკში (ბაიდარა) საქართველოს ოთხმა წარმომადგენელმა იასპარეზა. მცხეთელი ზაზა ნადირაძე ერთადგილიანი კანოეთი 200 მეტრზე ნახევარფინალის შემდეგ 23-ე იყო და B ფინალში გამოსვლის უფლება მიიღო, იქ კი რვა მეტოქე ჩამოიტოვა (40.125) და საბოლოოდ მე-19 ადგილზე გავიდა. ამავე დისციპლინაში მოსინჯა ძალები 17 წლის დუშელმა მარიამ ქერდიკაშვილმა. ნახევარფინალში (55.886) მან წინასწარი გაცურვის შედეგი (55.028) ოდნავ გააუარესა და 28-ე ადგილს დაყაბულდა. მისმა თანატოლმა ფოთელმა მურმან მალანიამ ერთადგილიანი კანოეთი 500 მეტრზე 23-ე ადგილი დაიკავა. 200-მეტრიანი დისტანცია კაიაკით (ბაიდარა) თბილისელმა ბადრი ყაველაშვილმა ნახევარფინალში 37.838 წამში დაფარა. ეს დრო მას მხოლოდ 34-ე ადგილისთვის ეყო. ჩვენს ნიჩბოსნებს რიოს საგზურის მოსაპოვებლად ბოლო იმედად 2016 წლის ევროპის ჩემპიონატი რჩებათ.

30 აგვისტოდან ფრანგულ შამბერიში აკადემიურ ნიჩბოსნობაში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი მოეწყობა. ამ შეჯიბრებაში მცხეთელები - ნიკოლოზ კანდელაკი (ერთადგილიანი ნავით), ნოდარ მარტოლეკი და ოთარ მოთიაშვილი (ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი) იასპარეზებენ.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

ფედერერმა 87-ე ტიტული მოიგო

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ცინცინატიში გამართული მასტერსის ტურნირი როჯერ ფედერერის გამარჯვებით დასრულდა.

მან ფინალში მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი 7:6, 6:3 დაამარცხა. პირველი სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც როჯერმა 7:1 იმარჯვა. მეორე სეტის სტარტზევე შვეიცარიელმა ბრეიკი შეასრულა, რაც ცინცინატის ტურნირის მეშვიდედ მოგებისთვის საკმარისი აღმოჩნდა.



შეხვედრა საათსა და 32 წუთში დასრულდა. ფედერერმა 7 ეისი ჩააწოდა და 2 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო ჯოკოვიჩს 5 ეისი და 4 ორმაგი შეცდომა ჰქონდა.

ნოვაკს 9 მასტერსის ტურნირიდან რვა მოგებული ჰქონდა და მხოლოდ ცინცინატის მოგებაღა აკლდა. ჯოკოვიჩს ფედერერი რომ დაემარცხებინა, ერთეულთა თანრიგში ერთადერთი კაცი ჩოგბურთელი გახდებოდა, ვისაც ცხრავე მასტერსი მინიმუმ ერთხელ მაინც ექნებოდა მოგებული. როგორც ჩანს, ნოლე მომავალ წელს ეცდება აღნიშნული რეკორდის დამყარებას.

შეგახსენებთ, რომ ერთეულთა თანრიგში ტიტულებით (87) ფედერერს მხოლოდ ორი ჩოგბურთელი უსწრებს: ჯიმი კონორსი, რომელსაც 109 ტურნირი აქვს მოგებული და ივან ლენდლი 96 ტიტულით.

გიორგი ფოთაძე

◎ ინტერნეტიდან

„დუბლის“ ზღურბლთან

ბრიტანულ „ვესტ ჰემში“ მოთამაშე არგენტინელი შემტევის მაურო სარატეს მოდელი ცოლი ნატალი ვებერი ამჟამად ორსულადაა და „ვერცხლისქვეყნელი“ ფეხბურთელისგან მეორე შვილს ელოდება, რომლის სქესს ეს უცნაური ცოლ-ქმარი ისე ასაიდუმლოებს, თითქოს ამაზე იყოს მსოფლიოს ბედი დამოკიდებული.

მიუხედავად რთული ორსულობისა ნატალი ვებერი თავის მოვლას მაინც ახერხებს და თავისი მრგვალი მუცლით ხანდახან ვარჯიშობს კიდეც, რაც მაურო სარატეს ძალიან მოსწონს, რადგან, როგორც ირკვევა, პირველი შვილის გაჩენა ნატალის ნამეტანი გასჭირვებია და მისი აღმატებულება სპორტი სწორედ ამიტომ ჩაერია საქმეში.

სხვათა შორის, სანამ მაურო სარატეს გაიცნობდა, რამდენიმე წლის წინათ ნატალი ვებერი უკვე იყო გათხოვილი მავან ნარკომან მუსიკალურ პროდიუსერზე, მაგრამ მათი ურთიერთობა ძალიან სწრაფად დასრულდა. აბა რა? სად ნარკომანი პროდიუსერი და სად კუნთმაგარი ლათინოსი ფორვარდი...

როსტომ რაჭველიშვილი

ხსოვნა

შოთა გამყრელიძე

გარდაიცვალა მხცოვანი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **შოთა გამყრელიძე**. იგი იყო ფსიქიატრიული ჟურნალის „სინაფსის“ (პარიზი), ს.ს. კორსაკოვის სახ. ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიის ჟურნალის (მოსკოვი), ქართულენოვანი ფსიქიატრიული ჟურნალების „საქართველოს ფსიქიატრიის მოამბე“ და „ფსიქიკას“ სარედაქციო საბჭოსა და კოლეგიების წევრი, ქ. ჭიათურის საპატიო მოქალაქე. ოქსფორდის უნივერსიტეტის წარდგინებით მისი ბიოგრაფია შეტანილია XXI საუკუნის გამოჩენილი ინტელექტუალების საპატიო წიგნში და დაჯილდოებულია შესაბამისი ვერცხლის მედლით. იგი, როგორც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით. ბატონი შოთა იყო ქართული ფსიქიატრიული, აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის სკოლის, 40-იანი წლების ფსიქიატრთა ბრწყინვალე თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი.

ბატონი შოთას ცხოვრება და მოღვაწეობა ყველასთვის სამაგალითო იყო: დიდბუნოვანი ადამიანი, ჭეშმარიტი პროფესიონალი, დიდი მეცნიერი, ფსიქიატრთა მრავალი თაობის აღმზრდელი! ბატონმა შოთამ ცხოვრებაში გზა გაიკვლია და ყველა წარმატებას მიაღწია 2 წლის ასაკიდან უმამოდ დარჩენილმა, სრულიად დამოუკიდებლად. ბატონი შოთას მოღვაწეობა, რომელიც დაკავშირებულია მედიცინის ამ რთულ, სათუთ და მძიმე დარგთან, ძალზე მრავალმხრივია. იგი, უპირველეს ყოვლისა, იყო უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების ექიმი, რომელიც 93 წლის ასაკშიც, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, კვლავინდებური ენერგიითა და შემართებით აგრძელებდა თავის საყვარელ საქმიანობას ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში უფროსი პროფესორ-კონსულტანტის თანამდებობაზე, რაც პაციენტთა მხრივ დიდი სიყვარულითა და მადლიერებით გამოიხატებოდა.

ბატონი შოთა იყო ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უზადო სპეციალისტი და გამოირჩეოდა თანამედროვე ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენების მაღალი ხელოვნებით. იგი ითვლება ფსიქიატრიაში ფსიქოფარმაკოთერაპიული მიმართულების მესაძირკვლედ. მან პირველმა საქართველოში, 1973 წელს, მ.მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩამოაყალიბა კლინიკური ფსიქოფარმაკოთერაპიის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა გასული საუკუნის ბოლომდე, რითაც ქართულ ფსიქიატრიას დაუსახა წარმატებით განვითარების ახალი გზები. ამ განყოფილებაში ბატონმა შოთამ შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა და აღზარდა ფსიქიატრთა მთელი თაობები, ამჟამად ამ დარგში მოღვაწე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, კლინიცისტები, ექიმები.

იშვიათი ნაყოფიერებით გამოირჩევა ბატონი შოთას სამეცნიერო საქმიანობა – იგი იყო 326 მეცნიერული ნაშრომის, მათ შორის, 15 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ჩეხურ და პოლონურ ენებზე. იგი მიჩნეულია საერთაშორისო აღიარების მკვლევარად, რომელსაც მჭიდრო მეცნიერული და მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა როგორც რუსული სკოლის, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცნობილ ფსიქიატრებთან. ბატონი შოთა მონაწილე იყო ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა ყველა ყრილობის ქ. მოსკოვში, ხოლო 90-ანი წლებიდან – მსოფლიო კონგრესების: 1992 წ. – ფლორენციაში (იტალია), 1996 წ. – მადრიდში (ესპანეთი), 1999 წ. – ჰამბურგში (გერმანია), 2000 წ. – პარიზში (საფრანგეთი), 2002 წ. – იოკოჰამაში (იაპონია). გარდა ამისა, იგი მოხსენებებით გამოდიოდა თემატურ კონფერენციებზე პრაღაში, ბერლინში, გლაზგოში, იესენიკში და ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკის ფსიქიატრიულ ცენტრებში.

ბოლო 30 წლის მანძილზე ბატონი შოთას მეცნიერული ინტერესი მთლიანად მიმართული იყო კლინიკური ფსიქოფარმაკოთერაპიის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შესწავლისაკენ. მხცოვანი მეცნიერის მახვილ თვალს არ გამოეპარა ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა კვებითი ქცევის აშლილობები, აზარტომანია, როგორც XXI საუკუნის ნარკომანია და მათი მკურნალობის საკითხები. ბატონი შოთა გამყრელიძის მონოგრაფიებს შორის ცალკე ადგილი უჭირავს მონოგრაფიას „შიზოფრენია გუშინ, დღეს, ხვალ“, აკაკი გამყრელიძის თანაავტორობით, რომელიც ფსიქიატრების სამაგიდო წიგნი გახდა. ყოველივე ამასთან ერთად, ბატონი შოთა იყო ერუდირებული, განათლებული, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ბრწყინვალედ მცოდნე ადამიანი, რომელიც ამ ცოდნას ყოველთვის გატაცებით უზიარებდა თავის კოლეგებს. მარტო ის რად ღირს, რომ ბატონი შოთას ძალზე მდიდარ ბიბლიოთეკაში ინახება უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხმა გამოცემის 200 ეგზემპლარი. იგი სიცოცხლის ბოლომდე ჩვეული ინტერესით თვალს ადევნებდა და კითხულობდა საქართველოს ისტორიის ნარკვევების ახალ გამოცემას.

ბატონი შოთა იყო ფსიქიატრიული დარგის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი, რომელიც ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, 1952 წელს, კლინიკური ორდინატურის დამთავრების შემდეგ, დაინიშნა სოხუმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად, საიდანაც როგორც მაღალკვალიფიციური ექიმი, გადმოიყვანეს რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის გამგედ. 1959 წლიდან 1973 წლამდე, 13 წლის განმავლობაში კი იგი იყო რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი. მისი მთავარი ექიმობის პერიოდში აშენდა მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის საბაზო რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფო. მის უდიდეს ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ ის 1988 წლიდან 2000 წლამდე იყო საქართველოს დამოუკიდებელი ფსიქიატრთა ასოციაციის პრეზიდენტი, რომლის ინიციატივით და ძალისხმევით საქართველოს ფსიქიატრთა ასოციაცია 1996 წელს, მადრიდში, მე-10 კონგრესზე მიღებული იქნა ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის წევრად,

მოარული აზრის საპირისპიროდ, რომ გამოჩენილი ადამიანები გარკვეულად უცნაურები არიან, ბატონი შოთა გამორჩეული იყო თავისი ჰარმონიული და გაწონასწორებული ხასიათით. მუდამ მშვიდი, დინჯი, კეთილგანწყობილი, მოსიყვარულე, მიმტევებელი, თავმდაბალი, ამასთან ძალზე მიზანდასახული, გამრჯე, ენერგიული, შრომისმოყვარე, მტკიცე და პრინციპული, როდესაც საქმე ეხებოდა ფსიქიატრიის პრობლემებს ან მის მოქალაქეობრივ პოზიციას. მისი ასეთი ბუნება ვლინდებოდა როგორც ოჯახთან, ისე თანამშრომლებთან დამოკიდებულებაში . მას დარჩა შესანიშნავი, დიდი, ნამდვილად ტრადიციული, ქართული ოჯახი, სადაც სიყვარული და ურთიერთგაგება სუფევს. ბატონი შოთა იყო სამაგალითო მეუღლე, მამა, ბაბუა, დიდი ბაბუა და უფროსი კოლეგა - დიდთან დიდი, ახალგაზრდასთან ახალგაზრდა. იგი იყო უბადლო, ფსიქიატრთა წრეში უცვლელი თამადა და ქართული სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი.

ფსიქიატრთა საზოგადოება ქედს ვიხრით ბატონი შოთას ხსოვნის წინაშე იმ ღვაწლისთვის, რაც მას მიუძღვის ფსიქიატრიის დარგის განვითარებაში. ახალგაზრდა თაობებს კი მოვუწოდებთ, რომ კარგად დაიმახსოვრონ და სამაგალითად შემოინახონ ბატონი შოთა, როგორც წარმატებული ადამიანი, უზადო პროფესიონალი-ფსიქიატრი, დიდი მეცნიერი და მკვლევარი და რომ ყველაფრის ამის საფუძველი და სათავე არის მისი ადამიანობა, ჰუმანურობა, კაცთმოყვარეობა, მიმტევებლობა და იმ საყვარელი საქმისადმი ერთგულება, რომელსაც ფსიქიატრია ჰქვია!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი,
ა. გურაბაშვილის სახელობის საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება.

მეუღლე ნათელა, შვილები მარინა, ხათუნა, შვილიშვილები ირინა, ირმა, ირაკლი, ირაკლი, ანუკა, თორნიკე, რძლები მარინა ნემსიწვერიძე, ლირა ხინტუბა, ნინუცა ღვაბერიძე, სიძეები ზურაბ კიკნაველიძე, გიგა ცქიტიშვილი, შვილთაშვილები იუწყებიან აკადემიკოსის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის

შოთა გამრელიძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 25, 26 VIII, დაკრძალვა 27 VIII, 15 სთ. მისამართი: ზაქარიაძის №10.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ინფორმაცია

2015 **წლის** 19 ოქტომბერს 14 საათზე, ქ. დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (წმინდა ნინოს ქ. №41) გაიმართება ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზაზე, მდ. ხევისწყალის სახიდე გადასასვლელის და მისასვლელი გზების მოწყობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე:** www.georoad.ge
- **ქ. დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია).**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს; ბატონ ჯუღული ახვლედიანს, ტელ: 595595255 ელ.ფოსტა: j.akhvlediani@gamma.ge და რუსუდან ღოლიჯაშვილს, ტელ: 599214048 ელ. ფოსტა: rusudan@gmail.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ კრიმინალი

ნარკოგამსაღებლები ჭკუას ვერ სწავლობენ

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1966 წელს დაბადებული აბესალომ ყ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. სულ ამოღებულია: 3 შეკვრად დაფასოებული, 18,45688 გრ კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 6,04614 გრ ჰეროინს შეიცავს, 9 აბი და 3 ნატეხი, საერთო წონით 4,319 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,3839 გრ მეთადონს (მარილი) შეიცავს, 1 აბი „სუბოქსონი“, რომელიც 0,008 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება ბუპრენორფინს შეიცავს, ასევე, 0,06662 გრ მეტამფეტამინის (მარილი) შემცველი 0,17977 გრ ნარკოტიკული საშუალება.

ნარკოლოგიური შემოწმებით აბესალომ ყ-ს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

მკვლელობა ხულოში

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ შუასოფელში მამაკაცის მკვლელობისთვის ერთი პირი დააკვეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

სოფელ შუასოფელში გარდაცვლილი მამაკაცი მდინარის პირას სილაში ჩამარხული იპოვეს.

შუა ხნის მამაკაცს 21 აგვისტოდან ეძებდნენ.

◎ ინფრასტრუქტურა

ზამთარ-ზაფხულ საბაგარაკო

იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული, ამ სფეროში ნებისმიერი, თუნდაც ნაკლებბიუჯეტიანი პროექტის განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასეთი წამოწყების როლი კიდევ უფრო მეტად იზრდება მაშინ, როცა საქმე ათობით მილიონი ლარის ინვესტიციას ეხება, როგორც ეს ბაკურიანისა და მიტარბის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების შემთხვევაშია.

ბოლო წლებში საქართველოში მეტად წარმატებულად მიმდინარეობს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ტურიზმის დარგში, სახელმწიფო სტრუქტურების, კერძო კომპანიებისა და ბანკების პარტნიორული თანამშრომლობით სოლიდური პროექტების განხორციელება. ამ ჯერზე საქმე ეხება სახელმწიფო და კერძო სექტორის უწყება-კომპანიების თანამშრომლობას ამ ორი უაღრესად პერსპექტიული სამთო-სათხილამურო კურორტის ინფრასტრუქტურულ განვითარებას. ამასთან, აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სამომავლოდ მსგავსი სახის პროექტები სხვა სამთო კურორტებშიც განხორციელდება.

ივლისის მიწურულს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიისა“ და „თიბისი ჯგუფის“ შვილეული კომპანიის „ახალი მიტარბის“ წარმომადგენლებმა ბაკურიანისა და მიტარბის ტურისტული განვითარების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. **ბაკურიანსა და მიტარბში განსახორციელებელი პროექტების ამ ტიპის ინფრასტრუქტურული სხვა მშენებლობებისგან განსხვავებული ნიშანი კი ის იქნება, რომ ისინი მთელი წლის მანძილზე გამოსაყენებელ დასასვნებელ, გამაჯანსაღებელ და სპორტულ კურორტებად იქცევიან, რაც საქართველოს ტურისტულ პოტენციალს საგრძნობლად გაზრდის.** იმის გათვალისწინებით, რომ ოთხივე სეზონზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ქვეყნის სხვა, არანაკლებ მიმზიდველ საკურორტო ადგილებშიც იგეგმება, ამან დიდი სიკეთე უნდა მოუტანოს როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ მმართველობებს.

ბაკურიანში განსახორციელებელი პროექტის მიზანია მის, ასე ვთქვათ, „ოთხსეზონიანი საოჯახო კურორტად“ გადაქცევა, რა მიზნითაც წლეულს იქ სამთო-სათხილამურო დასასვენებელ ადგილებში მეტად პოპულარული ატრაქციონი ტობოგანი, ანუ სამთო ციგა დამონტაჟდება. გარდა ამისა, მოეწყობა ბიათლონის ტრასა, ყველა თანმხლები ინფრასტრუქტურული ატრიბუტი-თურთ. ამჟამად მიმდინარეობს ევროპული სტანდარტების შესაბამისი ველოპარკისა და პროფესიული ველოსიპედის ბილიკების მშენებლობა, აგრეთვე ცენტრალური პარკის განახლება-მოდერნიზების სამუშაოები. წლის დამლევამდე კოხტას მთაზე დასრულდება ახალი საბაგირო გზა შუალედური სადგურით, მის მიმდებარედ აიგება მთლიანად 500 ადგილზე გათვლილი რამდენიმე პატარა სასტუმრო და საოჯახო ტიპის კოტეჯი, ასევე კვებისა და გასართობი ობიექტები.



რაც შეეხება დაბა მიტარბში სამომავლო ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს, მთა კოხტა-2 იქაც არის და სწორედ იქ აიგება ორი საბაგირო გზა და მწვერვალთან დამაკავშირებელი ეგრეთ წოდებული „ბიგელი“ – თხილამურებით ასასვლელი საბაგირო, რომელთა მშენებლობა გაისად წლის ბოლოს დამთავრდება. მიმდებარე ტერიტორიაზე კი, ისევე, როგორც დაბა ბაკურიანში, 300 ადგილზე გათვლილი ტურისტული ინფრასტრუქტურა აშენდება.

მიტარბსა და ბაკურიანში საბაგირო გზების მშენებლობებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 48 მილიონი ლარი გამოიყოფა, „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია“ კი 70 მილიონ ლარს ინვესტიციას განახორციელებს. თავად საბაგირო გზებს სამთო-სათხიოლამურო ინფრასტრუქტურის განვითარების მსოფლიოში ერთ-ერთ სოლიდური, დიდი გამოცდილების მქონე ავსტრიული კომპანია „დოპელმაიერის“ სპეციალისტები ააშენებენ. მოსამზადებელი სამუშაოები ორივე კურორტზე უკვე დაწყებულია, ხოლო რამდენიმე ობიექტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწყობრში წლეულს ჩადგება.

განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ სამუშაოთა მასშტაბებზე თუნდაც გასაწევი ხარჯების ოდენობა მოწმობს: „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის **მამუკა ხაზარაძის** განცხადებით, მთიანად ას მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება, ისინი ორ წელიწადში დასრულდება.

– ეს იქნება პრინციპულად ახალი სიტყვა ეროვნული ტურიზმის სფეროს განვითარებაში, რომელიც ყველაზე მაღალ ევროპულ სტანდარტებზეა დაფუძნებული და მრავალი ქვეყნის, მათ შორის იტალიის, ავსტრიის, შვეიცარიისა და საფრანგეთის სამთო-სათხილამურო კურორტებზეა აპრობირებული, – აღნიშნა მამუკა ხაზარაძემ.

მან ასევე დასძინა, რომ აღნიშნული პროექტის საბოლოო წარმატებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ახალი კურორტების ყველაზე მაღალ დონეზე რეკლამირება მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების პარალელურად, მათ დასრულებამდე, განსაკუთრებით კი პოტენციური ტურისტების ქვეყნებში, რაც ხორციელდება კიდეც.

ოთარ ტურაბელიძე

◎ მილოცვა

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი და ჯუმბერ გონაშვილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგის გამოჩენილ ყოფილ თავკაცს, შესანიშნავ პიროვნებასა და მეგობრობის სიმბოლოს – ბატონ დავით დათოფშვილს.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

რედაქცია მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87

◎ კადრი



◎ ცინცხალი ანეკდოტები

დაბრუნდა პეტკა მივლინებიდან. გასაღებით გააღო ბინის კარი და ფეხაკრეფით შევიდა ბინაში. საძინებლიდან საწოლის ჭრიალისა და ვნებიანი კვნესის ხმა შემოესმა.

– უჰ, შე ჩათლახო! – ჩაიბურტყუნა, კარი ჩუმად გამოიხურა და წავიდა თავის ბინაში ცოლთან.

* * *

– მე რა, შენი აზრით, სულელს ვგავარ?

– რა თქმა უნდა, არა, ჩემო ჩურჩუტო.

* * *

საზამთროების გამოცდილ გამყიდველს თავში ერთი წკიპურტის ჩარტყმით შეუძლია განსაზღვროს, მზად არის თუ არა მისი შვილი გამოცდისთვის.

* * *

– **მეტისმეტად** ბევრი მარილი ჩაგიყრია.

– ალბათ, იმიტომ, რომ მიყვარხარ.

– იმ დონეზე როგორ გიყვარვარ, რომ ჩაი მარილით ამივსე?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე